საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბრბოს გაცდენა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 4 მაისი. 2017 წ. №91 (8228), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ტურიზმის ქვეყანა

საპარტნიორო ფონდი კახეთში „ლოპოტას“ სასტუმროს აფართოებს

საპარტნიორო ფონდმა შპს „ლოპოტა ინვესტმენტთან“ პარტნიორთა შეთანხმებას მოაწერა ხელი, რომელიც ლოპოტას ტბაზე არსებული სასტუმროს გაფართოებას ითვალისწინებს.

ღონისძიებას საქართველოს პრემიერ მინისტრი, მთავრობის წევრები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. სასტუმრო კომპლექსის გაფართოება მოიცავს დამატებით 85 სასტუმრო ნომერს, ადმინისტრაციულ შენობას, 300-ადგილიან საკონფერენციო დარბაზს, შატოს, რესტორანს, კაფე-ბარს, ფიტნეს კლუბს, დახურულ და ღია საცურაო აუზებს.

„ლოპოტას სასტუმრო ადგილობრივი ბიზნესის ერთ-ერთი წარმატებული მაგალითია. იგი ერთნაირად პოპულარულია როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოელ დამსვენებელთა შორის. კურორტი ერთნაირადაა დატვირთული წლის ნებისმიერ დროს. საპარტნიორო ფონდისთვის ტურიზმი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა და მიხარია, რომ ჩვენი გუნდი კიდევ ერთი ტურისტული ობიექტის განვითარებაში მიიღებს მონაწილეობას“, – განაცხადა საპარტნიორო ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა დავით საგანელიძემ.

პარტნიორთა შეთანხმების მიხედვით, ფონდი ერთობლივად დაფუძნებულ კომპანიაში განახორციელებს 5,400,000 აშშ დოლარის ოდენობის ინვესტიციას.

ჩვენ დღეიდან, წელიწადზე ცოტა მეტი პერიოდის შემდეგ, გვექნება პრაქტიკულად სრულიად ახალი და სრულიად მასშტაბური ტურისტული მიმართულება „ლოპოტა“, რომელსაც ექნება საკონფერენციო დარბაზები, საცურაო აუზები, ექნება ღვინის წარმოება, შატო და ა.შ. – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ლოპოტას ტბაზე ტურისტული კომპლექსის გაფართოებასთან დაკავშირებულ ღონისძიებაზე განაცხადა.

ტურიზმის სექტორში, საპარტნიორო ფონდის მიერ დასრულებული პროექტებია – 5-ვარსკვლავიანი „რიქსოს ბორჯომი“ ლიკანში, „ჯინო ველნესი“ ახალციხეში, „როიალ ბატონი“ ყვარელში და მულტიფუნქციური სპა გამაჯანსაღებელი კურორტი საირმეში.

პრემიერ-მინისტრის თქმით, ეს იქნება ერთობლივი ინვესტიცია სახელმწიფოსთან ერთად და ძალიან წარმატებული პროექტი. საპარტნიორო ფონდმა „ლოპოტა ინვესტმენტთან“ ერთად უკვე დააფუძნა ერთობლივი კომპანია – შპს ლოპოტა. სამშენებლო სამუშაოებს შეასრულებს კომპანია „სი აი სი“ (CIC), მშენებლობას ზედამხედველობას გაუწევს კომპანია – Colliers, ხოლო ინტერიერ/ექსტერიერზე კომპანია „არქიტექტურული ორკესტრი“ იმუშავებს.

სასტუმროს მომსახურე პერსონალის მზადება უკვე დაწყებულია. ამჟამად მშენებლობაზე რამდენიმე ათეული ადამიანია დასაქმებული, ხოლო პროექტის დასრულებისას სასტუმროში დამატებითი სამუშაო ადგილები შეიქმნება. სასტუმროს გახსნა 2018 წლის ბოლოსთვის იგეგმება.

შპს „ლოპოტა ინვესტმენტმა“ კახეთში, სოფელ ნაფარეულში, ლოპოტას ტბაზე მდებარე სასტუმრო კომპლექსის – „ლოპოტა“ განვითარება 2007 წელს დაიწყო. დღეის მდგომარეობით, სასტუმრო 100-ნომრიანია, რომელსაც 180-ადგილიანი საკონფერენციო დარბაზი, 250 პერსონაზე გათვლილი რესტორანი, ოლიმპიური ზომის ღია საცურაო აუზი, სპორტული მოედნები (კალათბურთი, ფეხბურთი, ფრენბურთი), მინიგოლფის მოედანი, ღამის კლუბი, სპა ცენტრი და ტურისტული ინფრასტრუქტურა აქვს. სასტუმრო ასევე ავითარებს საკუთარ მეურნეობას, სადაც ბიო პროდუქტების წარმოებას იწყებს. ამ ეტაპზე დასაქმებულია 160 ადამიანი, საიდანაც 80 ადგილობრივია.

ტურიზმის სექტორი საპარტნიორო ფონდისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ამჟამად ფონდი ჩართულია 5-ვარსკვლავიანი სასტუმროს – „წინანდალი რედისონის“ პროექტის განხორციელებაში, რომელიც კახეთში ალექსანდრე ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის ტერიტორიაზე შენდება, ფონდში განიხილება აბასთუმანსა და მესტიაში სასტუმროების მშენებლობის პროექტები.

ფონდი ასევე მუშაობს რამდენიმე რეგიონალური სასტუმროს პროექტის განხორციელებაზე. საპარტნიორო ფონდმა მარტის თვეში გახსნა 3-ვარსკვლავიანი Best Western-ის საერთაშორისო ბრენდის სასტუმრო ქ. ქუთაისში. მისი მშენებლობა საპარტნიორო ფონდმა 2015 წელს დაიწყო და იგი პირველი ბრენდირებული სასტუმროა იმერეთის რეგიონში.

ტურიზმის სექტორში, საპარტნიორო ფონდის მიერ დასრულებული პროექტებია – 5-ვარსკვლავიანი „რიქსოს ბორჯომი“ ლიკანში, „ჯინო ველნესი“ ახალციხეში, „როიალ ბატონი“ ყვარელში და მულტიფუნქციური სპა გამაჯანსაღებელი კურორტი საირმეში.

მზია გელენავა:

ქართველებო, მართლა იყიდება საქართველო!

5

თუ ექიმი აფთიაქს გაურიგდება, ის დაისჯება!

როგორ უნდა მოიქცეს პაციენტი, თუ გამოწერილ რეცეპტში ექვი შეეპარა?!

2

გაარჩია, ვის რა ეარჩევნება!..

სიტყვიდან – საქმეზე!

ამერიკელი კონგრესმენები საქართველოს მხარდამჭერი წერილით დონალდ ტრამპს მიმართავენ

4

ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ორპარტიულ ვალდებულებას, მხარი დავუჭიროთ საქართველოს და მოვუწოდებთ აშშ-ის ადმინისტრაციას, რომ გააძლიეროს საქართველოსთან არსებული სტრატეგიული ურთიერთობები. უმნიშვნელოვანესია, რომ აშშ-მა გააგზავნოს ძლიერი გზავნილი, რომ ჩვენ ვდგავართ საქართველოს გვერდით, ისევე როგორც ეს ქართველმა ხალხმა გააკეთა ჩვენთვის.

კანონს მორგებული არასრულწლოვანთა ბანდები თბილისში

9

გელა ქოქიაშვილი

7

სახალხო მომღერალი ვარა ჩაჩვაშვილი

გაარჩია, ვის რა ეარჩევნება!..

ხან წვერმოშვებულმა და ხანაც წვერმოუშვებელმა გაბუნიას ბიჭმა, ანუ ორი ბატონის (სააკაშვილისა და გვარამიას) მონამ თუ მსახურმა (მონაც და მსახურიც, როგორც გვარამია იტყოდა, აქ ეპითეტად უნდა გავიგოთ და არა, შეურაცხყოფად!) ამჯერად თავისი „პირმშო“ გადაცემა „არჩევანი“ ცენზურის საფრთხის მოახლოების საშიშროებას მიუძღვნა.

ცენზურა, ანუ პირის ამოკერვის საფრთხე თურმე თვითონ სახელმწიფოს დავალებით იუსტიციის უმაღლესი საბჭოსგან მოდის, ე.ი. ფარულად თვით თავმჯდომარე ნინო გვენეტაძე უდგას სათავეში, რომლის უკან უჩინმაჩინის სამოსელში გახვეული საქართველოს ბითუმად შემსყიდველი ოლიგარქი ბიძინა ივანიშვილი ატრიალებს ჯადოსნურ ჯოხს, უფრო სწორად, საქართველოში ერთ-ერთ ყველაზე დიდ ამოგლეჯილ ხეს და ის წერილიც, რომელიც სტრასბურგისგან მოსამართლედ დაწუნებულმა ევა გოცირიძემ ჟურნალისტთა ეთიკის საერთაშორისო ქარტიას გაუგზავნა, ცოტა დაამუხრუჭეთ, ენას კბილი დააჭირეთ, ანდა სულაც პირი გამოირეცხეთ, როცა ქართულ მართლმსაჯულებას ქუჩურად აბიაბრუებთო, თურმე თვითონ ბიძინა ივანიშვილის დაწერილი ყოფილა, რადგან ევას ამდენი ფილოსოფიის თავი არა აქვსო.

როგორც ყოველთვის, ამ ე.წ. „არჩევანში“ აძაოდა, ჩვენი საკუთარი არხია და რაც ენაზე მოგვადგება ყველაფრის ყრანტალის უფლება გვაძვსო, ათასი ტყუილი, ათი ათასი სისულელე და უთვალავი სიბინძურე გაყრანტალდა...

არა, მართალი რომ ითქვას, ამ „გაევროპულ საქართველოდ“ გადანათლული „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მოსაბრუნებლად თავპირწაჭმული გაბუნიას ბიჭი გარკვეულ რეჟისორულ ნიჭს ნამდვილად მოკლებული არ არის. ჯერ მარტო პერსონაჟების შერჩევა ნახეთ: პირველ სეფესავარძელში თვითონ პოლიტიკური ბრძოლებისგან დაჭმუჭნილი გვარამია ზის, ნიკა, თვით სააკაშვილის წითელი კოჭი, საქართველოში ტახტისკენ მიმავალი გზის გამყვანი „ცრუსთავი-2“-ის ბულდოზერული რახარუხით; იქვე პირველთა შორისაა პირველი ადვოკატი ხატიაშვილი, ზაზა, ნაციონალების გამარჯვების შემთხვევაში უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე თუ არა, გენერალური პროკურორი აუცილებლად...

დაცული იყო გენდერული პრინციპიც. სცენას აქალურებდნენ „კავკასიის“ და ჩვენი აქუს გენერალური დირექტორი, რომელსაც აქამდე ჯანგირაშვილის გვარით ვიცნობდით და ახლა, ალბათ, მოგვიწევს, რომ ნინო გვარამიად მოვიხსენიოთ, რადგან აქუს ლაშქრიდან აშკარად ნიკას ლაშქარს შეუერთდა გულში ერთგულების ხანჯალგაჩრილი. ამ მხრივ აქუს ნინომ , ანუ ამიერიდან ნინო გვარამიამ, თვითმარქვია მედიაექსპერტი ნინო დანელიაც კი ბევრად დაჩრდილა.

ამ „არჩევანის“ ერთ-ერთი მთავარი ბრძოლის მოგება მაინც ზაქარიას ეკუთვნის, ქუცნაშვილს, რომელმაც თითქმის აღარაფერი დატოვა სააკაშვილის გავირთამამებული წითელი კოჭისგან, რომელიც, სულ ცოტა, ოცი წელიწადი ციხის ცალკე კამერაში ნაჯდომ პატიმარს დაემგვანა, ციცრის კვერცხივით დალეული.

მაგრამ მთავარი ამ უარჩევნო „არჩევანში“ სრულიად უნებურად მოხდა... როგორც ჩანს, საქართველოს მთავარ ადვოკატს, რატომღაც სახეწაშლილ ზაზა ხატიაშვილს სულ სხვა რამის კითხვა უნდოდა ყოფილ საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარისთვის მამუკა ახვლედიანისთვის, ალბათ, უზენაესი სასამართლოს საწინააღმდეგოდ, მაგრამ ამ სიმართლემ ხან თავისდაუნებურად იცის თავის წამოყოფა. ასე მოხდა ამჯერადაც, მე რომ მითხარი, მამუკა, ახლა ბარემ მაყურებელსაც გააგებინე, რა დღეში იყავიო. ჩამოლაბორანტებულმა მამუკამაც არც აცხელა, არც აცივა და შესჩივლასავით მთავარ ადვოკატს: მოსამართლეები პირდაპირ ათანხმებდნენ ჩემთან, ვისთვის რა სასჯელისთვის რამდენი უნდა გამოგვერთმიაო, სახეწაშლილ შემკითხველ ადვოკატს რომ ახედა, გამოსწორება სცადა: სიებით შემოდიოდნენ, ვისთვის რამდენი წელი უნდა მიგვეცაო. ამ სიებს კი თავმჯდომარე და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები ადგენდნენო...

ერთი სიტყვით, 2 მაისის გაბუნიას ბიჭის „არჩევანმა“ მზესავით ნათელი გახადა, ვინ და რა უღირსებო ადამიანებიც არიან ახალი ნათლიების ძებნით დაკავებული ქვეყნისა და ხალხის წინაშე დამნაშავე „ნაციონალები“.

ისე, რახან ნათლიობაზე ჩამოვარდა სიტყვა, ხომ არ აჯობებდა „ევროპულ საქართველოს“ „ქართული ევროპა“, უფრო მეტად გაშინაარსიანებული ჩანს.

ერთი სიტყვით, უცენზურობის ლაფში ჩაფლულმა „ნაციონალებმა“ ერთხელ კიდევ დაანახვეს ქვეყანას, რომ ადამიანურ ღირსებასთან მწყრალად არიან!

ათასჯერ რომ გამოიცვალონ სახელი, ხალხს მაინც ვეღარ მოატყუებენ. მალე სტრასბურგიც უკან დარჩებათ და ვენეციაც.

დასასრულ კი, აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ „ნაციონალებს“ არავითარი უფლება არა აქვთ ქართველ ხალხს გამოეძომაგონ და ხალხის სახელით ილაპარაკონ ტელეეკრანებიდან.

გურამ წიკლაური

მსოფლიო ბანკი საქართველოში მიმდინარე ეკონომიკურ რეფორმებს მხარს უჭერს

საქართველოს მთავრობასა და მსოფლიო ბანკს შორის მთავრობის ეკონომიკური რეფორმების პროგრამის მხარდასაჭერად ხელი მოეწერა 47.2 მლნ ევროს ოდენობის განვითარების პოლიტიკის ღონისძიების ფინანსირების ხელშეკრულებას.

ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს საქართველოს პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა და მსოფლიო ბანკის სამხრეთ კავკასიის რეგიონულმა დირექტორმა მერსი ტემბონმა.

ეს გახლავთ ინკლუზიური ზრდის პროგრამული განვითარების პოლიტიკის მეორე ღონისძიება (DPO2). პროექტი მსოფლიო ბანკის აღმასრულებელ დირექტორთა საბჭომ 2017 წლის 28 აპრილს დაამტკიცა.

„განვითარების პოლიტიკის ღონისძიება“ მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის 4-პუნქტიან გეგმას და მის ფარგლებში მიმდინარე რეფორმებს. ის, ძირითადად, მიმართულია სახელმწიფო ორგანიზაციების ფისკალური ზედამხედველობის გაძლიერებასა და საჯარო სამსახურის ბიუჯეტირების გაუმჯობესებაზე, აგრეთვე მოსახლეობისთვის სოციალური მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

„მსოფლიო ბანკი საქართველოში მიმდინარე რეფორმების ერთ-ერთი აქტიური მხარდამჭერია. ოთხპუნქტიანი გეგმის ფარგლებში, საქართველოს მთავრობა ახორციელებს რეფორმებს განათლების, საჯარო მმართველობის, ბიზნესგარემოს გაუმჯობესებისა და ინფრასტრუქტურის მიმართულებით, რამაც, საბოლოო ჯამში, ეკონომიკური ზრდის დაჩქარება, ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ჩვენი მოქალაქეებისთვის მეტი შესაძლებლობის გაჩენა უნდა უზრუნველყოს“, — განაცხადა პირველმა ვიცე-პრემიერმა, ფინანსთა მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

საქართველოს პრობლემა ევროსაბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის სხდომაზე

ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის სხდომაზე განიხილავენ დღის წესრიგის საკითხს „ევროპის საბჭო და კონფლიქტი საქართველოში“, რომელსაც წინ უსწრებდა ევროპის საბჭოს გენმდივნის კონსოლიდირებული ანგარიშის განხილვა კონფლიქტზე საქართველოში (19 აპრილი). ამ გადაწყვეტილების მიღება იგეგმება ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის 2014, 2015 და 2016 წლების გადაწყვეტილებების საფუძველზე, რომლებშიც გამოხატულია ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების მტკიცე მხარდაჭერა საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და გამახვილებულია ყურადღება რუსეთის საერთაშორისო სამართლებრივ პასუხისგებლობაზე, როგორც ქვეყნისა, რომელიც ახორციელებს ფაქტობრივ კონტროლს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

გადაწყვეტილებაში ყურადღება გამახვილდება საქართველოს რეგიონების — აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი/სამხრეთ ოსეთი — მიმართ რუსეთის ფედერაციის მიერ განხორციელებულ ნაბიჯებზე, რომლებიც ხელს უშლის კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას, ძირს უთხრის რეგიონში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის გამყარებისაკენ მიმართულ ძალისხმევას და არღვევს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში.

2017 წლის გადაწყვეტილება მნიშვნელოვანი წინგადადგმული ნაბიჯი იქნება საქართველოს ოკუპირებული რეგიონების საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისა და ამ რეგიონებში ადამიანის უფლებათა დაცვაზე პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, რამეთუ ის ქმნის მნიშვნელოვან პოლიტიკურ და საერთაშორისო სამართლებრივ სურათს საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მდგომარეობის შესახებ.

ყარგია ახალგაზრდა იურისტები, მაგრამ სჯობს, ვიყოთ უფრო მეტად იურისტები, ვიდრე ახალგაზრდები!

ამის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანმა ლევან მურუსიძემ სააპელაციო სასამართლოს მოსამართლედ მის შესაძლო უვადოდ დანიშვნასთან დაკავშირებით, არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებებზე კომენტირებისას განაცხადა.

„არასამთავრობო ორგანიზაციებს მოვუწოდებ, თუ ისინი სახელმწიფოებრივად იფიქრებენ, უნდა გააანალიზონ ერთი ფაქტი, რომ ლევან მურუსიძე არის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი, რომელიც აირჩია მოსამართლეთა კონფერენციამ. თუ არასამთავრობო ორგანიზაციებს სურთ ურთიერთობა და თანამშრომლობა, ეს უნდა იყოს ურთიერთპატივისცემის დონეზე. მე მაგალითად, პატივს ვცემ „ახალგაზრდა იურისტების“ გადაწყვეტილებას, რომელმაც ანა ნაცვლიშვილი აირჩია თავის თავმჯდომარედ. აქედან გამომდინარე, არ მიკადრებია საკუთარი თავისთვის, რომ მესაუბრა იმაზე, შეესაბამება თუ არა ქალბატონი ანა თანამდებობას“, — განაცხადა ლევან მურუსიძემ, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ კანონი ყველასთვის ერთი უნდა იყოს და კონკრეტულ პიროვნებებზე არ უნდა იყოს საუბარი.

„მაშინ ჩავწეროთ კანონში, რომ უვადოდ გადაინიშნოს ყველა მოსამართლე, გარდა ლევან მურუსიძისა. არასამთავრობო ორგანიზაციებმა, რომლებიც მხარს უჭერენ ვენეციის კომისიას, დაანებონ ორმაგ სტანდარტებს თავი“, — განაცხადა მურუსიძემ.

ზედმიწევნით კარგად ვიცავთ უვიზო მგზავრობის პირობებს

ამის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საკონსულო დეპარტამენტის დირექტორმა გიორგი ტაბატაძემ განაცხადა.

მისი თქმით, დაახლოებით, 25-30 ადამიანია უკან გამობრუნებული იმ მიზეზით, რომ ვერ აკმაყოფილებდნენ მოკლევადიანი მგზავრობის პირობებს, ან ერთხელ უკვე იმყოფებოდნენ და ქვეყანაში შესვლაზე შეზღუდვა ჰქონდათ დაწესებული. მისივე თქმით, ეს მაჩვენებელი დიდი არ არის.

„ევროკავშირთან მიმართებაში სტატისტიკა ცოტა მოგვიანებით კეთდება, მაგრამ ჩვენი დაკვირვებიდან გამომდინარე, რამდენიმე ათეული ადამიანი, დაახლოებით, 25-30 ადამიანია უკან გამობრუნებული. ეს მაჩვენებელი დიდი ნამდვილად არ არის. ძალიან კარგი და ძალიან სასიხარულოა, რომ ამ ხნის განმავლობაში ჩვენი მოქალაქეები ზედმიწევნით კარგად იცავენ უვიზო მგზავრობის პირობებს. იმედს გამოვთქვამთ, რომ მომავალშიც ასე კარგად დაიცავენ და ჩვენ ამ მხრივ, პრობლემები არ შეგვექმნება“, — განაცხადა გიორგი ტაბატაძემ, რომელმაც აქვე აღნიშნა, რომ დაკვირვების შედეგად შეიძლება ითქვას, რომ 10-დან 15 000-მდე მოქალაქე შენგენის ზონის მიმართულებით უკვე გაემგზავრა.

2016 წელს ისრაელიდან საქართველოს 4110 მოქალაქე აღარ დაბრუნდა!

საგარეო საქმეთა სამინისტროში ჟურნალისტებთან შეხვედრა გაიმართა. საკონსულო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა ისრაელში საქართველოს მოქალაქეთა მიმოსვლის შესახებ სტატისტიკა გამოაქვეყნეს.

მათი თქმით, ისრაელთან უვიზო რეჟიმი შრომის უფლებას არ ითვალისწინებს, თუმცა 2016 წელს ქვეყანაში შესული მოქალაქეებიდან 4110 პირი უკან აღარ დაბრუნდა. სტატისტიკის მიხედვით, წინა წელს ისრაელში საქართველოს 18437 მოქალაქე შევიდა, უკან კი 14327 დაბრუნდა. საზღვრის გადაკვეთაზე უარი ეთქვა 3974 ადამიანს, 304-ს კი დეპორტი შეეხო.

გაზი შეიძლება, გაძვირდეს, ან... არ გაძვირდეს!

ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე არ გამორიცხავს, რომ გაზის ტარიფი გაიზარდოს. მისი თქმით, ამ საკითხზე მარეგულირებელი კომისია მუშაობს.

„მოლოდინებს რაც შეეხება, დაველოდოთ, არ არის გამორიცხული, რომ მოხდეს ბუნებრივი აირის ტარიფის გაძვირება, თუ რამდენით, როგორ, ამაზე მარეგულირებელი კომისია მუშაობს და გვეცოდინება. შეიძლება არც მოხდეს გაძვირება, ამიტომ დაველოდოთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

პანკისის 18 სოფელში გაზიფიცირება დასრულდა

ვიცე-პრემიერმა და ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ გენერალურმა დირექტორმა ირაკლი ბენდელიანმა,„სოკარ ჯორჯია გაზის“ დირექტორმა აზერ მამადოვმა და ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებმა პანკისის ხეობაში, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ საკობიანოში ახლად აშენებული გაზგამანაწილებელი ქსელი დაათვალიერეს და სოფლის ცენტრში ჩირაღდანი აანთეს.

სოფელ საკობიანოში განხორციელებული გაზიფიცირების სამუშაოების შედეგად, ბუნებრივი აირის ქსელში ჩართვის შესაძლებლობა აქვს 209 ადგილობრივ ოჯახს. შპს „გაზის ტრანსპორტირების კომპანია“ საქართველოს მთავრობის დავალებით, ახმეტის მუნიციპალიტეტის 18 სოფლის სრული გაზიფიცირებისთვის საჭირო საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებს 2016 წლიდან ახორციელებს. ამ პერიოდში აშენდა 167,5 კმ გაზსადენი. სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსდა და ფაქტობრივმა ღირებულებამ შეადგინა 6 243 818 ლარი. გაზგამანაწილებელი ქსელის ექსპლუატაციას კომპანია „სოკარ-ჯორჯია გაზი“ განახორციელებს.

ხეხილის ახალი ბაღი ქართლში

შიდა ქართლის რეგიონში, ხაშურის რაიონში კოოპერატივმა „სურამი-2017“ „დანერგე მომავლის“ პროექტის ფარგლებში ახალი ხეხილის ბაღი გააშენა.

სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის საგენტოს „დანერგე მომავლის“ პროექტის მენეჯერმა ლევან დოლიძემ, შიდა ქართლის გუბერნატორის მოადგილემ იოსებ ოქრომელიძემ და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, შიდა ქართლში, ხაშურის რაიონის სოფელ გომში პროგრამაში მონაწილე ერთ-ერთი ბენეფიციარის, კოოპერატივი „სურამი-2017“-ის ბაღი მოინახულეს. „სურამი-2017“ პროგრამაში 2016 წელს ჩაერთო და 2 ჰექტარზე კენკროვანი კულტურა (მაყვალი/ჟოლო), ხოლო 5 ჰექტარზე ვაშლის ბაღი გააშენა, რისთვისაც 61 075 ლარის ოდენობის თანადაფინანსება მიიღო, აქედან სარწყავი სისტემის მოწყობისთვის 12 250 ლარის სახელ-

მწიფო დაფინანსება მიიღო, ხოლო 48 825 ლარი — ნერგებზე.

„დანერგე მომავლის“ პროექტის დაწყებიდან 2017 წლის მარტის ბოლო მონაცემებით, შიდა ქართლის რეგიონში სულ 1 065 ჰა მიწის ფართობზე გაშენდა მრავალწლიანი კულტურის სხვადასხვა ხეხილის ბაღები, ხოლო გაცემულმა დაფინანსებამ შეადგინა 6 865 242 ლარი. ახალი ხეხილის ბაღების გაშენებისა და სარწყავი სისტემის მოწყობისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით გაშენებული ფართობი დღეის მონაცემებით შეადგენს 3 343 ჰექტარს, ხოლო დაფინანსების მოცულობა — 16 368 274 მილიონ ლარს.

უმსხვილესი ამერიკული კორპორაცია საქართველოთი დაინტერესდა

გლობალური მრავალპროფილური კომპანია, რომელიც მსოფლიო მასშტაბით ენერგეტიკის, მრეწველობის, ჯანდაცვის, ელექტრონიკის და უსაფრთხოების მიმართულებით საქმიანობს, საქართველოში სხვადასხვა სექტორში არსებული შესაძლებლობებით და ბიზნესკლიმატით დაინტერესდა.

გუშინ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი მიხეილ ჯანელიძე მსოფლიოს ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული კორპორაცია „3M“-ის რეგიონალურ დირექტორს შეხვდა.

„საერთაშორისო მასშტაბით გლობალური კომპანიების საქართველოსადმი არსებული დიდი ინტერესი საქართველოს მთავრობის წარმატებული რეფორმების, რეგიონში და ამერიკის შეერთებულ შტატებთან წარმატებული პარტნიორობის შედეგია და ჩვენ მზად ვართ, მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი პროცესს, რომელიც საქართველოს რეგიონალურ ჰაბად აქცევს და მოიზიდავს ისეთ საერთაშორისო კომპანიებს, როგორსაც წარმოადგენს „3M“, რომელიც საქართველოში საინვესტიციო შესაძლებლობებით არის დაინტერესებული“, — განაცხადა მინისტრმა შეხვედრის დასრულებისას.

კომპანია „3M“ ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის რეგიონში 70-მდე ქვეყანაში შვილობილ კომპანიას და 38 ქვეყანაში საწარმოს ფლობს. კომპანიას, რომლის გაყიდვებმაც 2015 წელს 32 მილიარდი შეადგინა, მსოფლიო მასშტაბით 90 000-მდე ადამიანი ჰყავს დასაქმებული.

საქართველოს საჰაერო სივრცის დატვირთვა 15 პროცენტით გაიზარდა

2017 წლის 4 თვის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, საქართველოს საჰაერო სივრცეში ფრენების რაოდენობა 15%-ით არის გაზრდილი — ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქაერონავიგაცია“ ავრცელებს.

შპს „საქაერონავიგაციის“ მონაცემებით, მიმდინარე წლის I კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, 15%-ით მოიმატა საქართველოს საჰაერო სივრცის გამოყენების რაოდენობამ. მათივე ცნობით, 4 თვის განმავლობაში შპს „საქაერონავიგაცია“ 41 914 საჰაერო ხომალდს მოემსახურა, რაც 15%-ით მეტია გასულ წელთან შედარებით. გაიზარდა როგორც საქართველოს აეროპორტებში მომფრენი და გამფრენი, ასევე სატრანზიტო რეისების რაოდენობაც.

2017 წლის იანვარ-აპრილის განმავლობაში საქართველოს აეროპორტებში შესრულებულია 9 618 ინსტრუმენტალური ფრენა, რაც გასული წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 2 544 ფრენით, ანუ 35%-ით მეტია. 2017 წლის იანვარ-აპრილის პერიოდში ასევე გაიზარდა ტრანზიტული რეისების რაოდენობაც და 31 426 ფრენა შეადგინა, რომელიც 2016 წლის იმავე პერიოდის მაჩვენებელზე 2 166 ფრენით, ანუ 7%-ით მეტია.

შპს „საქაერონავიგაცია“ საქართველოს საჰაერო სივრცეში ტრანზიტულ ხომალდებს 19 მარშრუტზე ემსახურება. ბოლო 4 წლის განმავლობაში დაემატა 6 ახალი საჰაერო მარშრუტი, რის შედეგადაც საქართველო სატრანზიტო კუთხით კიდევ უფრო მიმზიდველი გახდა ავიაკომპანიებისთვის.

დაიწყო ცენტრალური მაგისტრალის საველე აღწერა

იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ეროვნული სანავიგაციო სისტემის შექმნის პროექტის ფარგლებში, თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალური მაგისტრალის საველე აღწერას ახორციელებს. ამჟამად აღწერითი სამუშაოები ხაშური-მცხეთის მონაკვეთზე მიმდინარეობს.

საველე მეთოდით, საავტომობილო გზათა ქსელის აღწერითი სამუშაოები უკვე დასრულებულია სარფი-ბათუმი-ქობულეთი-ფოთის, სამტრედია-აბაშა-სენაკი-ფოთის, სამტრედია-ლანჩხუთი-სუფსა-გრიგოლეთის, სენაკი-ხობი-ზუგდიდი-ანაკლიის, სამტრედია-ქუთაისის შემოვლითი გზა ზესტაფონი-რიკოთის გვირაბი-ხაშური (მათ შორის ქ. ქუთაისში გამავალი ძველი მაგისტრალი) მონაკვეთებზე.

სულ ეროვნული ნავიგაციის პროექტის ფარგლებში აღწერილი შიდასაქალაქო და მაგისტრალური საავტომობილო გზების საერთო სიგრძე 1 535 კმ-ს შეადგენს. პროექტის ფარგლებში, საჯარო რეესტრის საველე ოპერატორებმა სანავიგაციო სისტემის გამართული ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მონაცემები აღწერეს, მათ შორის, სატრანსპორტო მოძრაობის მარეგულირებელი ნიშნები, ბენზინ და გაზგასამართი სადგურები სათანადო ინფრასტრუქტურით და შესაბამისი ფოტომასალით.

საჯარო რეესტრი საველე-საინვენტარიზაციო სამუშაოების შედეგად მიღებულ გეოგრაფიულ მონაცემებს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დაამუშავებს და ეროვნული სანავიგაციო სისტემის შესაქმნელად გამოიყენებს. დამუშავებულ მონაცემებში გზათა ნომენკლატურა — საერთაშორისო და ეროვნული ტიპი, კლასი, ზოლების რაოდენობა, საფარი, ცალმხრივობა, სიჩქარის შეზღუდვა, სეზონურობა და სხვ. მახასიათებლებიც იქნება გათვალისწინებული.

ამერიკელი კონგრესმენები საქართველოს მხარდამჭერი წერილით დონალდ ტრამპს მიმართავენ

აშშ-ის წარმომადგენელთა პალატის 30-მა კონგრესმენმა აშშ-სა და საქართველოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების 25 წლისთავისა და ორ ქვეყანას შორის მტკიცე სტრატეგიული პარტნიორობის აღსანიშნავად, დღეს, საქართველოს მხარდამჭერი წერილით პრეზიდენტ დონალდ ტრამპს მიმართა.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეს-სამსახური ავრცელებს.

როგორც ინფორმაციაშია აღნიშნული, საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეების ტედ პოსა (რესპუბლიკელი – ტეხასის შტატი) და ჯერალდ კონოლის (დემოკრატი – ვირჯინიის შტატი) მიერ ინიცირებული წერილი წარმოადგენს საქართველოსადმი აშშ-ის ორპარტიული ურყევი მხარდაჭერის კიდევ ერთ მკაფიო მაგალითს, რომელსაც ხელს აწერენ როგორც აშშ-ის რესპუბლიკელი, ასევე დემოკრატი კონგრესმენები.

წერილი კიდევ ერთხელ ადასტურებს აშშ-ის მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი.

ამასთანავე, კონგრესმენები მოუწოდებენ პრეზიდენტს საქართველოსთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების გაფორმების თაობაზე მოლაპარაკებების დაწყებისაკენ და ამ მიზნით ვაჭრობისა და ინვესტიციების საკითხზე მაღალი დონის დიალოგის გაღრმავებისაკენ. კონგრესმენები ასევე მოუწოდებენ აშშ-ის პრეზიდენტს განაგრძოს ნატო-ში გაწევრიანების გზაზე საქართველოს მხარდაჭერა. წერილში ხაზგასმულია ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული ძლიერი სტრატეგიული პარტნიორობა და აშშ-ის მხრიდან ამ პარტნიორობის კიდევ უფრო გაღრმავების საჭიროება.

„25 წლის მანძილზე საქართველომ განაგრძო დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება. საქართველომ ინსტიტუტების გაძლიერების, რეგულაციების შემცირების, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და საგადასახადო სისტემის გამარტივების გზით, მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური განვითარების კუთხით. საქართველოს მიღწევები კიდევ უფრო დასაფასებელია რუსეთის მხრიდან მიმდინარე სამხედრო აგრესიის ფონზე. რუსეთის ჯარი 2008 წელს საქართველოში შეიჭრა და საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტის ოკუპირება მოახდინა. რუსეთის ჯარი განაგრძობს საქართველოს ტერიტორიის მცოცავ ანექსიას და ოკუპირებულ რეგიონებსა და მის მომიჯნავე ტერიტორიებზე ხშირად არღვევს ადამიანის უფლებებს, ასევე ახორციელებს ადამიანთა გატაცებას“, – აღნიშნულია წერილში.

„უსაფრთხოების სფეროში საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების მიუხედავად, საქართველოს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გლობალური უსაფრთხოების უზრუნველყოფის, კერძოდ, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. საქართველო აშშ-ის ერთგული და სანდო პარტნიორია, რაც ყველაზე უფრო ნათლად ერაყსა და ავღანეთში აშშ-ის ჯარისკაცების მხარდამხარ ბრძოლაში აისახება. ავღანეთში მიმდინარე საერთაშორისო მისიაში საქართველო შეიარაღებული ძალების რაოდენობით ერთ-ერთი ყველაზე უფრო მსხვილი კონტრიბუტორია, რასაც მრავალი ქართველი ჯარისკაცის სიცოცხლე შეეწირა. საქართველოს სამხედრო დანახარჯები, ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ორ პროცენტს აღემატება – ზღვარი, რომელსაც ნატოს წევრი მხოლოდ ხუთი ქვეყანა თუ აკმაყოფილებს. მოგიწოდებთ, რომ განაგრძოთ აშშ-ის მხარდაჭერა ნატო-ში საქართველოს გასაწევრიანებლად“, – ნათქვამია კონგრესმენების მიერ აშშ-ის პრეზიდენტის სახელზე გაგზავნილ წერილში.

„საქართველოს გააჩნია ხელსაყრელი ბიზნესგარემო და კავკასიისა და შავი ზღვის ფართო რეგიონით დაინტერესებული აშშ-ის კომპანიებისათვის ბიზნესის წარმოების კუთხით ხელსაყრელ გარემოს წარმოადგენს. შედეგად, აშშ-სა და საქართველოს შორის ვაჭრობა ბოლო ათი წლის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2016 წელს აშშ-მა საქართველოში 324 მილიონ აშშ დოლარზე მეტი ღირებულების საქონლის ექსპორტი განახორციელა. ჩვენ მტკიცედ მოვუწოდებთ აშშ-ის ადმინისტრაციას, რომ აშშ-სა და საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის გასაფორმებლად საჭირო მოლაპარაკებების დაჩქარება უზრუნველყოს. აშშ-სა და საქართველოს შორის ვაჭრობისა და ინვესტიციების სფეროში მიმდინარე მაღალი დონის დიალოგმა უნდა ნათლად განსაზღვროს ის ვალდებულებები, რომელიც საჭიროა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების საკითხზე მოლაპარაკებების საწარმოებლად. ამგვარი სახის შეთანხმება სასარგებლო იქნება აშშ-ის, საქართველოსა და მთლიანად კავკასიისა და ცენტრალური აზიის რეგიონისთვის“, – აღნიშნულია კონგრესმენების წერილში.

„25 წელზე მეტია, რაც საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების სანდო და სტრატეგიული პარტნიორია. 2016 წლის დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ხაზგასმით ასახელებს აშშ-ს როგორც საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორს და მოკავშირეს. 2016 წლის სექტემბერში აშშ-ის წარმომადგენელთა პალატამ საქართველოს მეგობართა ჯგუფის თანათავმჯდომარეების ჯერალდ კონოლისა და ტედ პოს მიერ ინიცირებული რეზოლუცია დაამტკიცა, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისადმი აშშ-ის ურყევ მხარდაჭერას გამოხატავს“, – ნათქვამია წერილში.

„ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ორპარტიულ ვალდებულებას, მხარი დავუჭიროთ საქართველოს და მოვუწოდებთ აშშ-ის ადმინისტრაციას, რომ გააძლიეროს საქართველოსთან არსებული სტრატეგიული ურთიერთობები. უმნიშვნელოვანესია, რომ აშშ-მა გააგზავნოს ძლიერი გზავნილი, რომ ჩვენ ვდგავართ საქართველოს გვერდით, ისევე როგორც ეს ქართველმა ხალხმა გააკეთა ჩვენთვის“, – აღნიშნულია აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპისადმი გაგზავნილ აშშ-ის რესპუბლიკელ და დემოკრატ კონგრესმენთა ერთობლივ წერილში.



Congress of the United States
Washington, DC 20515

May 2, 2017

The President
The White House
Washington, DC 20500

Dear Mr. President:

As Members of the House Georgia Caucus and friends of Georgia, we write to commemorate the 25th anniversary of diplomatic relations between the U.S. and Georgia, and to reiterate our firm, bipartisan support of one of our most reliable and steadfast regional partners.

Over the last 25 years, Georgia has continued to develop its democratic institutions. Georgia has achieved substantial progress in both political and economic development by strengthening its institutions, reducing government regulation, fighting corruption, and simplifying its tax code.

Freedom House has acknowledged Georgia's largely free and diverse media environment. Transparency International has noted Georgia's steady improvement in its corruption index. The World Bank's "Ease of Doing Business Report" named Georgia the most improved country in the world over the past twelve years with regard to its free market business environment.

Georgia's accomplishments are even more striking against the backdrop of continued Russian military aggression. Russia has illegally occupied twenty percent of Georgian territory since it invaded Georgia in 2008. Russian troops have continued the process of creeping annexation and frequently commit human rights violations and kidnappings throughout the occupied regions and adjacent territories.

Despite its own security challenges, Georgia plays a significant role in ensuring global security, namely in the fight against terrorism. Georgia is a committed and reliable U.S. partner, most notably manifested by serving shoulder-to-shoulder with American soldiers in Iraq and Afghanistan. This country of less than four million people is one of the largest troop contributors to the international mission in Afghanistan, and Georgian soldiers have been killed in combat. Georgia's military spending also exceeds two percent of its GDP, a benchmark that only five NATO member states currently meet. We ask that you continue historical U.S. support for Georgia's bid to join NATO.

Georgia has a business-friendly environment and is a natural home for U.S. companies that want to do business in the wider Caucasus and Black Sea region. As a result, U.S. trade with Georgia has grown significantly over the past decade. In 2016, the U.S. exported over $324 million of goods to Georgia. We strongly encourage the Administration to make progress toward negotiations on a U.S.-Georgia Free Trade Agreement. The U.S.-Georgia High-Level Dialogue on Trade and Investment should produce a clear understanding of the commitments and obligations required for negotiations on a free trade agreement. Such an agreement would be beneficial for the U.S., Georgia, and the entire Caucasus and Central Asian region.

Georgia has been a reliable and strategic partner of the United States for more than 25 years. In December 2016, the Parliament of Georgia passed a bipartisan resolution affirming the U.S. as the major strategic partner and ally of Georgia. In September 2016, the U.S. House of Representatives passed its own resolution (H.Res.660), introduced by Georgia Caucus co-chairs Representatives Gerald E. Connolly and Ted Poe, expressing its unwavering support for the territorial integrity and sovereignty of Georgia.

We reaffirm our bipartisan commitment to support Georgia and encourage the Administration to strengthen this strategic relationship. It is critical that the United States sends a strong message that we stand with Georgia, just as its people have done for us.

Sincerely,

Ted Poe, Member of Congress, Texas
Gerald E. Connolly, Member of Congress, Virginia
Mario Diaz-Balart, Member of Congress, Florida
Paul Cook, Member of Congress, California
Marcy Kaptur, Member of Congress, Ohio
Ileana Ros-Lehtinen, Member of Congress, Florida
Steve Chabot, Member of Congress, Ohio
Dina Titus, Member of Congress, Nevada
Steve King, Member of Congress, Iowa
Duncan Hunter, Member of Congress, California
David Price, Member of Congress, North Carolina
Mike Conaway, Member of Congress, Texas
Michael R. Turner, Member of Congress, Ohio
Adam Kinzinger, Member of Congress, Illinois
Adam B. Schiff, Member of Congress, California
Tom McClintock, Member of Congress, California
Randy Weber, Member of Congress, Texas
William R. Keating, Member of Congress, Massachusetts
Erik Paulsen, Member of Congress, Minnesota

ჩრდილოეთ ბარხანტის დედოფალმა სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკა აღიარა, ვაშაა!

დღეს მთავარი ის კი არ არის, ვინ ხარ და რა რქები გადგას უტვინო თავზე, არამედ ის, ვინ როგორს გხედავს და აღგიქვამს, ანუ საერთოდ, თვალში უჩანხარ თუ არა და თუ უჩანხარ, კაცი ჰგონიხარ თუ საცობი.

ეს მომენტი ცალკეული ინდივიდებიდან ადამიანთა საზოგადოებაზე რომ გადავიტანთ, მივიღებთ სტატუს-კვოს: თუ შენ ერთი პატარა, ფეხზე ჯერ კიდევ მყარად ვერ მდგომი ქვეყნის აბუნტებული მინინაწილი ხარ და მეზობელი დიდზე დიდი, ხმალ-ხანჯლით აჯაგრული სახელმწიფოს იმედით და თავზე ხელის გადასმით ჯერ „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკას“ დაირქმევ და მერე სულაც „სამხრეთ ალანიას“, ამით ვერც მართლა სამხრეთ ოსეთად იქცევი და ვერც ჩრდილოეთ ალანიის ნაწილად, რაგინდ ღვიძლი ძმაც იყო იმ ჩრდილოური წარმონაქმნისა.

დღეს ის დრო აღარ არის, როცა შეგეძლო, თუ ძალა მოგდგამდა და შუბლის ძარღვიც გაწყვეტილი გქონდა, სადაც გინდოდა იქ დაგერჭო შუბი და გამოგეცხადებინა ამიერიდან ეს ჩემი სამშობლოაო.

დღეს გამოცხადებით კი შეგიძლია გამოაცხადო, არიქა, სახელმწიფო ვარო, მაგრამ თუ ვინმემ არ დაგიმოწმა, კი ნამდვილად სახელმწიფო ხარო, კაცი შვილი ხელს არ ჩამოგართმევს.

ამიტომ შეაჯერა აფხაზეთმა (უფრო სწორად, მისმა მფარველმა და მიმტაცებელმა რუსეთმა) ცა და მიწა გამადიდებელი შუშით იმათ ძებნაში, ვინც როგორმე მის დამოუკიდებლობას აღიარებდა. ბოლოს აკი ერთიორი მართლაც გამოიძებნა, მაგალითად, ბანანისა თუ ქოქოსის ნიკარაგუა და მთლად წყალწაღებული ვანუატუ, მაგრამ ახლა შავ დღეში ჩავარდა: „სამხრეთ ოსეთთან“ დაკავშირებით ვერავინ მოძებნეს, ვისაც ეს „სახელმწიფო“ გაეგონა და თანაც მისი აღიარების სურვილი აწუხებდა.

მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, გარღვევა მომხდარა.

ოსური „სახელმწიფო“ მედიისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ახლადარჩეული დე ფაქტო პრეზიდენტის ანატოლი ბიბილოვის ოფიციალურ ვებ-გვერდზე 1 მაისს ვინმე ანა მოკოს მილოცვის წერილი გამოქვეყნდა, ქალბატონისა, რომელიც, თუ ამ ცნობას დავუჯერებთ, ჩრდილოეთ ბარხანტის დედოფალია. მას შემდეგ სოციალური ქსელების ოსი მომხმარებლები აქტიურად ეძებენ „გუგლში“ ინფორმაციას ჩრდილოეთ ბარხანტის უცნობი სამეფოს შესახებ.

საძიებო სისტემა კი მხოლოდ მწირ მონაცემებს იძლევა: ეს „მცურავი სახელმწიფო“ 2015 წელს ატლანტიკის ჩრდილოეთ ნაწილში მიტოვებული ორი სატვირთო გემის ეკიპაჟებს დაუარსებიათ.

ირკვევა, რომ ოკეანის შუაგულში საბუთებისა და ყოველგვარი სახსრების გარეშე აღმოჩენილი მეზღვაურები ამაოდ ითხოვდნენ დახმარებას ნებისმიერი აფრიკული სახელმწიფოსგან, რომლის ნაპირს ტალღა ახეთქებდათ. 2010 წლის მაისიდან კი, ყველაფრით გადაღლილებმა, საკუთარი სახელმწიფოს ჩამოყალიბებისთვის დაიწყეს ბრძოლა.

თუ საძიებო სისტემაში აღმოჩენილ (სანდოობის ხარისხი გადამოწმებას მოითხოვს) ცნობებს მივენდობით, ბედის ანაბარა მიტოვებულ მეზღვაურებს მალე უფლებადამცველებმა, მოხალისეებმა და უბრალოდ კეთილმა ადამიანებმა მიაქციეს ყურადღება. ბრძოლის კულმინაციად კი 2015 წლის 15 სექტემბერს ჩრდილოეთ ბარხანტის სამეფოს მინისახელმწიფოდ გამოცხადება იქცა.

ირკვევა, რომ დედოფალ ანას სულ 342 მოქალაქე ექვემდებარება, რომელთაგან 283 მამაკაცი და 32 ქალია. დედოფალ ანას შესახებ ცნობები კიდევ უფრო მწირია: ამჟამად იგი 22 წლისაა, დაბადებულა მოგზაურთა ოჯახში. მეზღვაურთა პრობლემის შესახებ 2011 წელს, მაროკოში მოხალისეთა მისიის შემადგენლობაში ყოფნის დროს შეიტყო. მშვენიერი ანა კეთილი გულისაა და საკუთარ მოქალაქეებზე ზრუნვისთვის წმინდა ტერეზას ორდენითაა დაჯილდოებული.

ჩრდილოეთ ბარხანტში სამი სახელმწიფო ენაა – ინგლისური, რუსული და ესპანური, თუმცა მედიაში ხშირად არაბული და კატალონიურიც გამოიყენება.

ეთნიკური შემადგენლობა ასევე ჭრელია: მაროკოს, ესპანეთის, რუსეთის, ყაზახეთის, უკრაინის, კონგოს მოქალაქეები, ასევე სხვა ქვეყნებიდან დევნილები.

ეს არის და ეს.

ოსი ინტერნეტ-მომხმარებლების ნაწილმა ამ ამბავში „მარგინალიზაციისკენ სვლა“ განჭვრიტა, ნაწილმა – არაკეთილმოსურნეების ცბიერი ხრიკი, ნაწილმაც – რუსეთში არსებული გარკვეული ჯგუფების ხელი.

ოღონდ, ასეა თუ ისე, დღის ბოლოსთვის დე ფაქტო პრეზიდენტის საიტიდან მილოცვა გაქრა.

რა იყო ეს, ვინმეს ბოროტი შაყირი თუ უბრალოდ, ლაღი ხუმრობა? სიცილისგან ბევრი კი „გვატირა“ და!

სანდრო ალექსიძე

ქართველებო, მართლა იყიდება საქართველო!

ჩიტმა ამბავი მომიტანაო, იტყვიან ასეთ შემთხვევაში, მაგრამ ჩემთვის ჩიტს არ მოუტანია ეს ამბავი, ტელევიზიით შევიტყვე. ერთ-ერთი პოლიტიკოსი ჰყვებოდა, რომ თითქმის ნებისმიერ დროს, იუსტიციის სახლი თურმე სავსეა ბინადრობის უფლების მისაღებად ჩამოსული გადამთიელებით: არაბებით, ინდოელებით, ჩინელებით და სხვადასხვა ჯურის ხალხით. უმეტესი მათგანი მთელი ჯალაბობით არის ჩამოსული, ათ-ათი შვილით, ამდენივე შვილიშვილით, რომლებიც ხვალ-ზეგ აქ სოფლებს, დასახლებებს დააარსებენ და მათ მიერ მითვისებულ მიწა-წყალზე არაფერი აღარ იქნება ქართული. ეს პროცესი დაწყებულია.

პოლიტიკოსები ტელეეკრანებიდან გვამცნობენ საგანგაშო ინფორმაციას: კახეთში უკვე გაჩნდა სოფლები-ახალშენები, რომლებიც არაბებს და ინდოელებს ეკუთვნით. ამბობენ, თითოეული ასეთი სოფელი 250 კომლისგან შედგებაო. ბინადრობის მსურველებს 35 000 დოლარად აძლევენ საქართველოში დამკვიდრების უფლებასო. პერსპექტივაში ეს იგივე მოქალაქეობის უფლების მოპოვებაა. ისიც შეგვახსენეს, რომ ამჟამად მარტო ბათუმში 27 000 თურქი ბინადრობს.

მოკლედ, იყიდება საქართველო, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, ისე როგორც ეს დიდ მწერალს ნიკოლორთქიფანიძეს აქვს აღწერილი.

ნათქვამია, არც შენი გესმოდეს და არც სხვისი გაგეგონოსო. ქართველებო, ამ საქმეში მაინც მივბაძოთ სომხებს. როგორ იქცევიან სომხები? იქ ხომ წარმოუდგენელია, რომ ვინმეს მოუვიდეს აზრად ის, რაც საქართველოში ხდება: 35 000 დოლარად გადამთიელთა შემოკედლება! არც 135 000-ად მოხდება ასეთი რამ სომხეთში და, საერთოდ, არანაირ ფასად. სომხები სამშობლოს არ ჰყიდიან. ეს ხალხი გადარჩება. ნურც იმას დავიწყებთ, თუ რა დაემართათ ოდესღაც ჩვენს მეზობელ ალბანელებს. ისინი აღიგავენ პირისაგან მიწისა, რადგან გადამთიელებმა შთანთქეს. მოხდა მათი ასიმილაცია. ჩვენ რა დამცავი მექანიზმი გაგვაჩნია? დავიჯეროთ, ეს ჩვენი გულუბრყვილობის შედეგია? „ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა“, — ამბობდა ბრძენი რუსთაველი. თუ ასე გაგრძელდა, გაიყიდება საქართველო. ამაში ეჭვი არ შეგეპაროთ. ასე იცის ოქროსადმი მოტეტებულმა სიყვარულმა. როცა ამ რეპლიკას ვწერდი, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი, აწ უკვე ჩვენი თანამემამულე ჩინელი წარმომიდგა თვალწინ, ვისი სახელი და გვარიც გახლავთ: როსტომ წერეთელი. დასკვნის გაკეთება თქვენთვის მომინდვია.

მზია გელენავა

თუ ექიმი აფთიაქს გაურიგდება, ის დაისჯება!

როგორ უნდა მოიქცეს პაციენტი, თუ გამოწერილ რეცეპტში ეჭვი შეეპარა?!

ფარმაცევტული კომპანიებისა და ექიმების სავარაუდო თანამშრომლობის შესახებ ეჭვი საზოგადოებაში დიდი ხანია, არსებობს. რამდენიმე დღის წინათ კი, სოციალურ ქსელში გავრცელდა ინფორმაცია, სადაც ერთ-ერთი მოქალაქე თაკო მათეშვილი აღწერდა, თუ როგორ გამოუწერა ექიმმა მის შვილს არასაჭირო მედიკამენტი. შემდეგ მან სატელეფონო ზარიც მიიღო ე.წ. „წამლების მონიტორინგის სააგენტოსგან“, რომელმაც შეამოწმა, ექიმმა თუ დაუნიშნა მას აღნიშნული წამალი. ამ ფაქტმა საზოგადოების ნაწილში ფარმაცევტული კომპანიებისა და ექიმების სავარაუდო თანამშრომლობის შესახებ ეჭვი კიდევ უფრო გააღრმავა.

თაკო მათეშვილის ტექსტში ნათქვამი იყო, რომ ექიმმა მცირეწლოვანს ძვირადღირებული და როგორც მოგვიანებით გაირკვა, არასაჭირო მედიკამენტი დაუნიშნა. რაც მთავარია, სამედიცინო სფეროს წარმომადგენელს ეს დედასთან არც უარუყვია და მისი არგუმენტი მხოლოდ ის იყო, რომ კონკრეტული, არასაჭირო წამალი, „ბავშვს არაფერს ავნებდა“.

რა შეიძლება გამოიწვიოს სამედიცინო სფეროს წარმომადგენლის მიერ ანგარებით დანიშნულმა მედიკამენტმა, ამაზე საუბარიც კი არ ღირს. „მეტრონომი“ ამ თემაზე პასუხების მისაღებად ჯანდაცვის სამინისტროს დაუკავშირდა — უწყებას, რომელსაც ევალება ქვეყანაში ადამიანების სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ჩვენ რესპონდენტს ვთხოვეთ განმარტება ჯანდაცვის სფეროში მომუშავე იმ პერსონის ქმედების მიმართ, რომელმაც, როგორც თაკო მათეშვილი ამბობს, წამალი არასწორად გამოწერა. კითხვებზე ჯანდაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსმა მარინა დარახველიძემ გვიპასუხა.

— საზოგადოების გარკვეულ ნაწილში არსებობს აზრი, რომ სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები ფარმაცევტულ კომპანიებთან თანამშრომლობენ და ამის გამო, ხანდახან, მკურნალობისთვის არაშესაბამის მედიკამენტებს წერენ. რამდენად ცნობილია ამგვარი შემთხვევები ჯანდაცვის სამინისტროსთვის?

— მედიის საშუალებით გავრცელებულ ამგვარ პუბლიკაციებს გავეცანი. თუკი ადამიანები კონკრეტულ ფაქტებზე მიუთითებენ და ამბობენ, რომ ეს მათ ცხოვრებაში მოხდა, არ შეიძლია საწინააღმდეგო ვამტკიცო. მე შემიძლია ის ვთქვა, რომ ამას სისტემურს ვერ ვუწოდებთ.

თუკი ეს ადამიანი მოვიდოდა, საჩივარს დაწერდა, ამ საჩივარს ჯანდაცვის სამინისტროს შესაბამისი, კომპეტენტური ორგანო შეისწავლიდა, ამის შემდეგ გვექნებოდა მსჯელობის ობიექტური საფუძველი — რა და როგორ მოხდა. მე როგორც ჯანდაცვის მენეჯერი, ორგანიზატორი, რომელსაც ევალება ამგვარი საკითხის შესწავლა, როგორც პროფესიული საბჭოს წევრი, განცხადების შემთხვევაში თვალყურს მივადევნებდი და თუკი დადასტურდებოდა ექიმის მიერ კანონდარღვევის ფაქტები, პაციენტის სამედიცინო დახმარების ხარისხში გამოვლენილი ნაკლოვანებები, ამ შემთხვევაში პროფესიული განვითარების საბჭო იმსჯელებდა ამ ექიმის პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხზე, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ წერილობითი გაფრთხილებით, არამედ გულისხმობს საქმიანობიდან ერთი თვიდან ექვს თვემდე ვადით ჩამოშორებას. მძიმე შემთხვევაში კი, პრაქტიკაში ექიმის სერტიფიკატის გაუქმებაც მქონია. ამდენად, მე შემიძლია, პაციენტებს შევთავაზო ის, რის უფლებასაც კანონი გვაძლევს: თუკი ასეთი შემთხვევები მათ ცხოვრებაში დაფიქსირდება, მოგვმართონ განცხადებით და ჩვენ შევისწავლით ამ საკითხს.

— გარდა იმისა, რომ პაციენტებს შეუძლიათ განცხადებით მომართვა, თავად სამინისტროს რა ბერკეტები აქვს ამის საწინააღმდეგოდ, თუ მიმდინარეობს მონიტორინგი ამგვარი ფაქტების გამოსავლენად?

— ასეთ თემებზე მონიტორინგს არ ვახორციელებთ, რადგან მონიტორინგს უნდა ჰქონდეს თავისი კონკრეტული, ობიექტური გარემოებები. ეს უფრო შემოწმების თემაა. თუკი დადასტურდა, რომ პაციენტს არ სჭირდება და გარკვეულ სამედიცინო პრეპარატს ფინანსური დაინტერესების მიზნით უნიშნავენ, ეს კანონდარღვევაა. კანონი კრძალავს ასეთ ქმედებას და ამბობს, რომ არ შეიძლება ექიმმა პირადი გარიგების მოტივით, ან რეკლამირება გაუწიოს, ან ასეთი, დანაშაულებრივი კავშირი დაამყაროს ფარმაცევტულ კომპანიებთან და ამის საშუალებით ფინანსური დაინტერესება მიიღოს. ეს არის სამედიცინო დახმარების ხარისხის საკითხი, რომლის ამაღლება, ექიმის პროფესიონალიზმი, სამედიცინო დაწესებულებებში არსებული პირობების შემოწმება — ეს ჩვენი რუტინული საქმეა, რომელსაც ყოველდღიურად ვახორციელებთ, არა მხოლოდ პირადი საჩივრების საფუძველზე, არამედ სალიცენზიო სანებართვო პირობების შემოწმების საშუალებით. ხდება ასევე სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში მომსახურების შესწავლა. კომპლექსური შემოწმებები ტარდება გარკვეული გეგმა-გრაფიკით. სხვადასხვა მეთოდები არის, რომელიც დღეს გამოიყენება. ის, რომ მასობრივად მიმდინარეობდეს ზედამხედველობა, თუ რომელი ექიმი რა მედიკამენტს ნიშნავს — ეს წარმოუდგენელია. თუმცა ერთი საშუალება, რომელიც ზედამხედველობის უფრო მასობრივ და მძლავრ იარაღამდე მიგვიყვანს, ეს არის ელექტრონული რეცეპტი. ამით საშუალება გვექნება, უფრო სისტემური მონიტორინგი ვაწარმოოთ, რა მედიკამენტები რა სიხშირით იწერება, როგორია მათი დანიშნულება თუ გამოყენება — თუ ანომალიურ მოვლენებს ან ნორმიდან არაჯანსაღ გადახრას ექნება ადგილი, ეს დაინტერესების საკითხი გახდება. ამ ეტაპზე ელექტრონული რეცეპტი განხორციელების ფაზაშია, ჯერ მასობრივად არ გამოიყენება, რადგან ახლა, ქაღალდის და ელექტრონული რეცეპტია გამოყენებაში და საქართველოს რეგიონებში ჯერ კიდევ მიმდინარეობს ტრეინინგის პროცესი. ამას გარკვეული დრო სჭირდება და ქვეყნის სხვა მახასიათებლებთან თანხვედრაში, როგორიც არის, მაგალითად, საყოველთაო ინტერნეტიზაცია, ჩვენც შევძლებთ, გარკვეული პერიოდის მერე, ეს იყოს მანდატორული სისტემა, რაც გაგვიძლიერებს მონიტორინგის საშუალებებს.

— თავად თუ გქონიათ შემთხვევა, როცა ფარმაცევტულ კომპანიასა და სამედიცინო წარმომადგენელთან კავშირს შეხვდით?

— კონკრეტულად ასეთ შემთხვევას, რომელიც პროფესიული საბჭოს განხილვის თემა იქნებოდა, ვერ ვიხსენებ. თუ შემთხვევა პროფესიული სამსახურის მიერ განხილული და ობიექტური მტკიცებულებებით გამყარებული არ იქნება, რთულია ჩემი მხრიდან ამაზე მტკიცებით ფორმაში საუბარი.

— რას ურჩევთ პაციენტებს, თუ მიიჩნევენ, რომ მათი უფლებები ირღვევა?

— ჯანდაცვის სამინისტროს განცხადებით მიმართონ. მათი საჩივარი დეტალურად იქნება შესწავლილი, ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში კი, რეაგირება სათანადოდ მოხდება. როგორც აღვნიშნე, ჯანდაცვის სამინისტრო, ასეთი კავშირის შემთხვევაში (ფარმაცევტული კომპანია და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელი), პირდაპირ ითვალისწინებს ექიმის პასუხისმგებლობას, რადგან ექიმმა პაციენტთან ურთიერთობისას არ უნდა ისარგებლოს ფინანსური დაინტერესებით, ან გარიგებით რომელიმე ფარმაცევტულ კომპანიასთან. ისიც კი არის აკრძალული, რომ პროფესიული საქმიანობისას რეკლამა გაუწიოს რომელიმე მედიკამენტს. საზოგადოების ჩართულობა საკუთარი ინტერესების დაცვის მიზნით აუცილებელია — პაციენტმა უნდა განაცხადოს, როცა მისი უფლებები იღვევა, რადგან ჩვენ შეიძლება, ფაქტის აღმოჩენა გაგვიჭირდეს, თუ ამის შესახებ განცხადება არ იქნება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა რუტინული კონტროლის შემთხვევაში ასეთ ფაქტებს წავაწყდებით.

მანა ნოდია

ნიკოლაი სტარიკოვი

ცილდაწამებული გენერალისიმუსი

ვიხსენებთ ერთად



ძირითადი აზრი სტალინისა და ტროცკის შორის დაპირისპირებისა მდგომარეობს რუსეთის განვითარებისადმი მიდგომებში. სტალინი ამბობდა, რომ აუცილებელია, ავაშენოთ სოციალიზმი ცალკე აღებულ ქვეყანაში, ტროცკი – მსოფლიო რევოლუციის აუცილებლობის შესახებ. ტროცკის აზრით, სოციალიზმის აშენება ერთ ჩამორჩენილ რუსეთში შეუძლებელია და ამიტომ საჭიროა, გამოვიყენოთ იგი, როგორც ფალია და შეშა მსოფლიო რევოლუციის ხანძრისათვის. ეს „უმნიშვნელო აზრთა სხვადასხვაობა“ სინამდვილეში იყო უზარმაზარი აისბერგის ხილული ზედაპირი. საკითხი შეეხებოდა იმას, თუ ვისი ინტერესებისათვის აშენდებოდა საბჭოთა რუსეთი – ხალხისა თუ მსოფლიო ბანკირებისა. სტალინის აზრით, საჭიროა, აშენდეს ქარხნები, გზები, საბავშვო ბაღები და ყოველმხრივ განვავითაროთ ქვეყანა, ტროცკის აზრით კი – ეს ყველაფერი უაზრობაა და საჭირო არაა. აქედან მოდის შემდგომი აზრთა სხვადასხვაობა ინდუსტრიალიზაციისა და კოლექტივიზაციის საკითხებში. სტალინსა და მის გუნდს სურდათ, შეექმნათ ახალი მრეწველობა, რომ ჰქონოდათ ძალის მსოფლიო ცენტრებისაგან დამოუკიდებელი პოლიტიკის შესაძლებლობა. „უკლონისტები“ გვთავაზობდნენ, განგვევითარებინა სოფლის მეურნეობა მის ძველ ინდივიდუალურ ვარიანტში, შეგვესყიდა საზღვარგარეთ საჭირო ტექნიკა. სტალინს უნდოდა, აგვეშენებინა დამოუკიდებელი სახელმწიფო – მისი მეტოქენი აპირებდნენ „ჩაშენებულიყვნენ“ მსოფლიო სისტემაში, არ სწამდათ დამოუკიდებლობის შესაძლებლობა, განსაკუთრებით ევროპაში ფაშიზმის მზარდი საფრთხის ფონზე. დასავლეთის ქვეყნებს საკუთარი განვითარებისათვის შეეძლოთ, ეძარცვათ სხვა სახელმწიფოები და თავისი კოლონიები. სსრ კავშირს ასეთი შესაძლებლობები არ ჰქონია, დახურული იყო დასავლეთში კრედიტების მიღების შესაძლებლობაც. ასეთ სიტუაციაში მყოფ საბჭოთა კავშირს რაღაც უნდა გაეყიდა მსოფლიოს ბაზარზე, რათა მიეღო ვალუტა სამრეწველო მოწყობილობის შესყიდვისათვის. ხდებოდა პრიორიტეტების დანაწილება – აპირებდნენ, უწინარეს ყოვლისა, მძიმე ინდუსტრიის განვითარებას, უმთავრესად მისი გულისა, ესე იგი მანქანათმშენებლობისა. მხოლოდ მძიმე ინდუსტრიის და საკუთარი მანქანათმშენებლობის შექმნა ხომ ქმნის მატერიალურ ბაზას შემდგომი დამოუკიდებელი განვითარებისათვის. 1925 წლის ბოლოს სსრ კავშირის მთავრობამ გადაწყვიტა საერთო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის თოთხმეტი ქარხნის მშენებლობის დაწყება. სტალინი იწყებს მოძრაობას ძლიერი სუვერენული სახელმწიფოს შექმნის მიმართულებით.

რასაკვირველია, კურსმა დამოუკიდებელი სამრეწველო ბაზის შექმნაზე ვერ გამოიწვია „გაგება“ მსოფლიოს ზესახელმწიფოების მხრიდან. სწორედ ამ პერიოდში, სტალინის სიტყვებით, „იქმნება რაღაც ერთიანი ფრონტის მსგავსი ჩემბერლენიდან ტროცკამდე“. ძლიერდება საჯაშუშო, დივერსიული მუშაობა. პარტიისა და ქვეყნის შიგნით მუდმივად ჩნდება ყოვლისშემძლე „ანტიპარტიული ჯგუფები“. ბრძოლა ტროცკისტულ-ზინოვიევურ ბლოკთან მიმდინარეობს პრესაში, პლენუმებსა და ყრილობებზე. ყველაფერი მთავრდება სახელმწიფო გადატრიალების პირდაპირი მცდელობით 1927 წლის 7 ნოემბერს დემონსტრაციის დროს (უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვით, მისი სახით). მომზადებულ ბოევიკების ჯგუფებს უნდა მოეწყოთ მთავარი ხელმძღვანელებისა და სტალინის თანამებრძოლების დაპატიმრებები. მაგრამ ეს გეგმები ჩაიშალა: ყველა წინასწარ მივიდა კრემლში – სახლებში, სადაც დასაპატიმრებლად მივიდნენ, არავინ არ აღმოჩნდა. ზუსტად ასევე ვერ შეძლეს, ხელში ჩაეგდოთ ქალაქის მნიშვნელოვანი საკვანძო წერტილები – დაცვა იდგა არა გარეთ, არამედ იყო დაბარიკადებული შიგნიდან.

ჩემბერლენი

ტროცკი

ზინოვიევი

1927 წლის ნოემბერში პუტჩის მცდელობას წინ უსწრებდა ურთიერთობის გამწვავება სსრ კავშირსა დიდ ბრიტანეთთან – ყველა დროის ყველა ჩვენი რევოლუციის მთავარ პატრონთან. 1927 წლის 23 თებერვალს დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ო. ჩემბერლენმა სსრ კავშირს გაუგზავნა ნოტა, მკვეთრი ფორმით მოითხოვა ანტიბრიტანული პროპაგანდისა და ინგლისის საშინაო საქმეებში ჩარევის შეწყვეტა. 12 მაისს ლონდონში მოეწყო საბჭოთა სავაჭრო წარმომადგენლობის სათავსის ჩხრეკა, 27 მაისს გამოაცხადეს სავაჭრო შეთანხმების გაუქმებისა და სსრ კავშირთან დიპლომატიური ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, ანტიბრიტანული პროპაგანდის შესახებ. სიტყვებს არ უნდა შევეშფოთებინეთ, ასეთი სიტყვები ხომ სწორედ ნამდვილი პროპაგანდაა – ოღონდ ინგლისური პროგაპანდა.

სსრ კავშირში ინგლისელების მტრული მოქმედების პასუხად შეიმუშავეს კამპანია, რომელიც ანდაზასავით იქცა – „ჩვენი პასუხი ჩემბერლენს“, რომლის მსვლელობის დროსაც მოსკოვმა უჩვენა მზადყოფნა: თუ საჭიროა, იარაღით ხელში დავიცავთ ჩვენს სუვერენიტეტს. საპასუხოდ ლონდონმა „სთხოვა“ ემიგრანტების წრეებს მოაწყონ საჩვენებელი აქციები, და 1927 წლის ივნისში დახვრიტეს სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი პოლონეთში პიოტრ ვოიკოვი. მოხდა თავდასხმები საბჭოთა წარმომადგენლობებზე პეკინში, შანხაიში და ტიანძინში, რომელთა უკანაც ასევე დიდი ბრიტანეთი იდგა. ამიტომ ტროცკისტული გადატრიალების მცდელობა სწორად შეიძლება იყოს გაგებული და შეფასებული მხოლოდ მაშინ მომხდარი მოვლენების საერთო კონტექსტში. ეს იყო პუტჩის რეალური მცდელობა საბოლოო მიზნით – შეაჩერონ ახალი მრეწველობის შექმნა. შეთქმულების გზა ტროცკისტებმა აირჩიეს მარტივი მიზნით – მათი მხარდაჭერა პარტიაში და უკვე მით უმეტეს ხალხში თითქმის ნულის ტოლი იყო. 1927 წლის ოქტომბერში, ესე იგი ტროცკისტების პუტჩამდე რამდენიმე კვირით ადრე, პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაცხადა დისკუსიის გახსნის შესახებ. შედეგად, ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკას მხარი დაუჭირა კომუნისტების 99 პროცენტმა, ოპოზიციას კი – მხოლოდ 1 პროცენტმა. 1927 წლის 14 ნოემბერს ტროცკი და ზინოვიევი პარტიიდან გარიცხეს. ყურადღებას იპყრობს სტალინის პასუხის „მიმართულება“ – უკვე 1927 წლის 17 ნოემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით ლ.დ.ტროცკი გაათავისუფლეს საკონცენსიო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან, მის ადგილზე კი დაინიშნა ვინმე ვ.ნ. კასანდროვი.

სტალინს ესმოდა, თუ ვინ იდგა ტროცკის უკან და თავის ხელში იღებს „ლიცენზიების“ გაცემას რუსეთის წიაღისეულით სარგებლობაზე. გინდათ, ისარგებლოთ – უნდა მომელაპარაკოთ მე, პატივცემულო კაპიტალისტებო, და არ „შენიშნოთ“ ტროცკის ამოღება რუსეთის პოლიტიკური ველიდან. ამის შემდეგ სტალინი იწყებს წმენდას პარტიაში – თუმცა, ძალიან მცირეს. 1927 წლის ნოემბრის მეორე ნახევრიდან 1928 წლის იანვრის ბოლომდე „მემარცხენე ოპოზიციაში“ ყოფნის გამო პარტიიდან 2288 კაცი გაირიცხა (კიდევ 970 ოპოზიციონერი გაირიცხა 1927 წლის 15 ნოემბრამდე). 1928 წლის იანვარში ლევ ტროცკი გაასახლეს ალმა-ატაში, შემდეგ კი, 1929 წელს, გაგზავნეს უცხოეთში.

ოპოზიციის მკვეთრად გაზრდილი აქტიურობა, რომელიც შეეცადა სახელმწიფო გადატრიალებას, აიხსნება სწორედ იმით, რომ 1927 წლის ბოლოსათვის გამოიკვეთა ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის გადამწყვეტი უპირატესობანი. დნეპრჰესი, სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანა, ურალმაში, მაგნიტკა, როსტოვის სასოფლო მანქანათმშენებლობის ქარხანა – აი, მანქანათმშენებლობის გიგანტების არასრული ჩამონათვალი, რომლებიც მაშინ რეალობად იქცნენ. სრულიად საკავშირო კომუნისტური პარტიის XV ყრილობაზე 1927 წლის დეკემბერში იწყება ქვეყნის გარდაქმნის მომდევნო ეტაპი. ინდუსტრიალიზაციის გამო სოფლის მეურნეობის განვითარება ჩამორჩება მრეწველობას. გამოსავალი, – ამბობდა სტალინი, – წვრილი და დაქსაქსული გლეხური მეურნეობების გარდაქმნა დიდ და გაერთიანებულ მეურნეობებად მიწის კოლექტიური დამუშავების საფუძველზე ახალი ტექნიკის გამოყენებით. 1928 წელს გაიმართება პირველი დიდი პროცესიც მავნებლებზე – ეგრეთ წოდებული შატინსკის საქმე. ტექნიკურ სპეციალისტებს, მათ შორის უცხოელებს, ბრალი ედებოდათ ჯაშუშურ საქმიანობასა და მავნებლობაში.

1930 წელს მიმდინარეობს სამრეწველო პარტიის საქმე. სასამართლოს სხდომა ღიაა – დარბაზში არიან ჟურნალისტები, განსასჯელები აღიარებენ დანაშაულს და ინანიებენ. ეს შემდეგ სტალინური პროცესების სავიზიტო ბარათი გახდება. დარბაზში იქნებიან რეპორტიორები და დასავლელი დიპლომატებიც კი. და ყოველივე ამის ფონზე მაღალი რანგის დამნაშავეები ისაუბრებენ თავიანთი დანაშაულობების შესახებ. დაპატიმრებულთა დანაშაული არავის ეჭვს არ იწვევდა. **„ვკითხულობ ანგარიშებს არამზადების პროცესზე და სიბრაზისაგან სული მეხუთება“,** – წერდა მაქსიმ გორკი ლ. ლეონოვს 1930 წლის 11 დეკემბერს. პროლეტარული მწერლის აღშფოთება გამოწვეულია იმით, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ აპატია შეთქმულებს.

რომ შეეჩერებინა სსრ კავშირის სიძლიერის ზრდა, დასავლეთმა აამოქმედა მთელი მეხუთე კოლონა, რომელიც კი არსებობდა: დაწყებული თერთგვარდიელებიდან და ტროცკისტებიდან და დამთავრებული მენშევიკებითა და ყოფილი ესერებით. გამოდიოდა უცნაური სურათი – რაც მეტ წარმატებას ავლენს საბჭოთა ხელისუფლება, მით მეტი დაჟინებითა და ძალით იბრძვიან მის წინააღმდეგ ქვეყნის შიგნით. სწორედ ეს ჰქონდა მხედველობაში სტალინს, როდესაც ლაპარაკობდა კლასობრივი ბრძოლის გაძლიერების შესახებ სოციალიზმის მშენებლობის წარმატებებთან დაკავშირებით. ვილაპარაკოთ იმის შესახებ, რომ ბრძოლა სსრ კავშირის შიგნით, ინსპირირებული საზღვარგარეთიდან, იყო მთავარი პოლიტიკური სამმართველოს გამომძიებელთა წარმოსახვის ნაყოფი, ნიშნავს, სრულიად უარვყოთ რეალობა. მაქსიმ გორკი იყო დამოუკიდებელი და თავისებური მწერალი. ის არ ყოფილა ხელისუფლების ზემოქმედების ქვეშ, არ იყო „დაქირავებული“ სამუშაოზე. ის იყო საბჭოთა ლიტერატურის პირველი და ცოცხალი კლასიკოსი. მაგრამ მისი აღშფოთება მრეწველთა პარტიის პროცესის მსვლელობის დროს იყო ისე დიდი, რომ 1930 წლის 15 ნოემბერს მან „პრავდაში“ დაწერა: **„თუ მტერი არ ნებდება, მას ანადგურებენ“.** ფრაზა ფრთიანი გახდა.

შემთხვევითი არაა თარიღების საერთაშორისო „დამთხვევაც“. გერმანიაში ნაცისტები ხელისუფლებაში მოიყვანეს 1933 წელს, როდესაც საბოლოოდ ცხადი გახდა, რომ საშინაო აფეთქების ორგანიზაცია სსრ კავშირში არ გამოვა, მრეწველობა კი ქვეყანაში იზრდება, როგორც საფუარზე. კიდევ ათი-თხუთმეტი წელი ასეთი ზრდისა და ძალთა ბალანსი მსოფლიოში შეიძლება შეიცვალოს. მაშასადამე, საჭიროა უკვე არა საშინაო, არამედ გარეშე ძალა, რომელიც შეძლებს, შეაჩეროს ეს პროცესი და უკანაც კი დააბრუნოს. საჭიროა ის, ვინც დაიწყებს ომს რუსეთთან. და ამ ადამიანის როლზე ლონდონმა და ვაშინგტონმა ადოლფ ჰიტლერი დანიშნეს.

სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის ამოქმედებასთან (1930 წლის 30 ივნისი) ერთად სტალინი აჩქარებდა „კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას“. საჭირო იყო მეურნეობრიობის ახალი ფორმის მოწინააღმდეგების სწრაფად დამორჩილება, წინააღმდეგ შემთხვევაში ახალი კონვეიერი გაჩერდება ამოქმედებისთანავე. პატარა მეურნეობებს არ შეუძლიათ, გამოიყენონ ძვირად ღირებული უახლესი ტექნიკა. და აი, უკვე 1930 წლის 5 იანვარს გამოდის ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „კოლექტივიზაციის ტემპებისა და საკოლმეურნეო მშენებლობისათვის სახელმწიფო დახმარების ზომების შესახებ“. მაგრამ აქაც სწორედ სტალინი იჩენს ზომიერებას, მოუწოდებს თავის კოლეგებს პარტიიდან, იცოდნენ ზომიერება: 1930 წლის 2 მარტს „პრავდაში“ იბეჭდება სტალინის სტატია „თავბრუდახვევა წარმატებებისგან“, რომელშიც ის ხაზგასმით აღნიშნავდა კოლმეურნეობებში მონაწილეობის ნებაყოფლობითობას და ამ საკითხში ძალადობის დაუშვებლობას.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-90

სახალხო მომღერალი ვარა ჩახვაშვილი

ჩვენი ერის ხასიათი, წარსული, აწმყო და მომავალი ყველაზე უკეთესად ხალხურ ფოლკლორშია ასახული, სულის ამაფორიაქებელი ქართული ხალხური ხელოვნება, ხალხური სიმღერა თითქმის ღმერთის დონემდე ამაღლებული ხელოვნებაა და თავისი ადგილით და შინაარსით მსოფლიო მნიშვნელობის საგანძურს წარმოადგენს. სწორედ ხალხის წიაღში უნდა ვეძიოთ ის თვითმყოფადი ნიჭის მდიდარი ბუნებრივი მონაცემები, ის მდიდარი სასიმღერო მარგალიტები, რომელსაც გაოცებაში და აღფრთოვანებაში მოჰყავს მსოფლიოს მსმენელი და მაყურებელი. ქართველებს ხალხური სიმღერების არაერთი ბრწყინვალე შემსრულებელი ჰყავდა და ჰყავს, უდავოდ მომავალშიც იქნებიან შესანიშნავი მომღერლები. მომავალი წარსულის გარეშე არ არსებობს. ამის დასადასტურებლად საინტერესო გამონათქვამი არსებობს — „ივიწყებ წარსულს, კარგავ მომავალს“, აქედან გამომდინარე წარსულის გახსენება, მისთვის სათანადო ადგილისა და პატივის მიგება, ჩვენი ღირსების ნაწილს წარმოადგენს. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა ცოტა ხნის წინათ სიღნაღში კომპოზიტორ სანდრო მირიანაშვილის მემორიალურ მუზეუმში გამართული შეხვედრა-გახსენება, რომელიც მიეძღვნა სახალხო მომღერალს, ხალხური სიმღერების უზადო შემსრულებელს ვარა ჩახვაშვილს.

მისი სიმღერის მოსმენის საშუალება გასული საუკუნის 70-იან წლებში მომეცა სიღნაღში გამართულ, დიდი ვანო სარაჯიშვილისადმი მიძღვნილ „ვანოობის“ დღესასწაულზე. „დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანან, მაგრამ სალამურს თუ მოჰკრეს ყური, ანდამატური ძალით გამოსწევს, აქეთკენ მის გულს ხმა უცნაური...“ — გაისმის გულში ჩამწვდომი სიტყვები ცნობილი ქართველი კომპოზიტორის ნიკო სულხანიშვილის მომაჯადოებელ მელოდიასთან ერთად. სმენად გადავიქეცი, მონუსხული ვუსმენდი ნაცნობ მელოდიას, გულგრილს რომ არავის ტოვებს. გარშემო თბილი, ობერტონებით სავსე, ხალხური სიმღერისთვის დამახასიათებელი ტემბრის ხმა იფრქვეოდა. მომღერალს ელასტიკური, მოძრავი ხმა ჰქონდა, რაშიც მისი ინდივიდუალურობის ხელწერა იგრძნობოდა, რომელიც არავის ჰგავდა, არავის ბაძავდა. ვერავის შევადარე, თვით ჰამლეტ გონაშვილსაც კი. ქალბატონი ვარა ამ სიმღერას სულ სხვა ხასიათში, სხვა მანერით და სტილით მღეროდა. თავისი ხავერდოვანი, მოალერსე ხმით გიზიდავდა, გიპყრობდა და თავის სამყაროში გამყოფებდა. ამაში გახლდათ მისი მადლიანი სიმღერის ძალა, მისი სიმღერით გამოწვეული პირველი შთაბეჭდილება, რომელიც დიდხანს, ძალიან დიდხანს გაგყვება და სასიამოვნო მოგონებად გრჩება. ეს პუბლიკაციაც სწორედ სახალხო მომღერლის ვარა ჩახვაშვილის მოგონებას ეძღვნება.

ოჯახურმა ტრადიციამ განსაზღვრა ქალბატონ ვარას მომავალი. მამა შესანიშნავად უკრავდა გარმონზე, დედაც მღეროდა. ერთი სიტყვით, მუსიკა და სიმღერა ყოფილა იმთავითვე ამ ოჯახის ღირსება. სულ პატარა ვარას გიტარისადმი ინტერესი გამოუმჟღავნებია, როდესაც მეზობლის ბინაში უნახავს ეს ინსტრუმენტი, შემდეგში კი თავისი ცხოვრების სამუდამო თანამგზავრად გაუხდია. მის სამოღვაწეო ასპარეზს გარკვეულ პერიოდამდე მხოლოდ საკუთარი და ახლობელთა ოჯახები წარმოადგენდნენ. მისი წკრიალა ხმა და სიმღერა მალე მთელმა რაიონმა გაითავისა, ყველასთვის ახლობელი გახდა. არ გამართულა რაიმე საზეიმო ღონისძიება, ოლიმპიადა თუ რაიონში ჩამოსულ სტუმრებთან შეხვედრა, ვარას რომ არ მიეღოს მონაწილეობა.

პირველი დიდი სიხარული მან 1964 წელს იგემა, როცა ხალხური თვითმოქმედი კოლექტივების რესპუბლიკურ დათვალიერებაზე გაიმარჯვა, საერთო მოწონება დაიმსახურა და სიმღერის — „დაიგვიანეს“ საუკეთესო შესრულებისთვის ვერცხლის medლით დაჯილდოვდა. ხალხური სიმღერების ცნობილმა შემსრულებელმა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ეთერ კაცობაშვილმა როცა წარმატება მიულოცა, ასე მიმართა: „შენს ხმასა და სიმღერაში ქიზიყის და ულამაზესი სიღნაღის მადლი და ძალაა გამოხატული“.

სიღნაღის წარმტაცი ბუნება და მისი ტრადიციები ყოველთვის იყო ქართველ ხელოვანთა შემოქმედებითი მუზა. უამრავი ნიჭიერი ადამიანი აღიზარდა ამ რაიონში. აქ არა ერთი ცნობილი ხელოვანი ჩადიოდა სპექტაკლის, კონცერტის თუ საზეიმო საღამოს ჩასატარებლად. ქალბატონი ვარა ყოველთვის მათ გვერდით იდგა, მათთან ერთად განიცდიდა ჭეშმარიტი ხელოვნებით ტკბობას. ჩახვაშვილის შესაძლებლობები შეუმჩნეველი არ დარჩენილა. მისი სიმღერა და შესრულების მანერა ყველას მოსწონდა. საქებარი სიტყვები არ დაუშურებიათ რეზო ლაღიძეს, სანდრო მირიანაშვილს, ანზორ ერქომაიშვილს, ჰამლეტ გონაშვილს, იოსებ კეჭაყმაძეს... ერთ-ერთი გამოსვლის დროს, მისი სიმღერით მოხიბლულ ირაკლი აბაშიძეს უთქვამს: „ქალბატონო ვარა, სიღნაღიდან მივდივარ თქვენი სიმღერით გავარვარებულიო“. ამ ფრთიან სიტყვებში კარგადაა გამოხატული ის შთაბეჭდილება, რომელიც პოეტს შეექმნა ქალბატონი ვარას მოსმენის შემდეგ.

მისთვის რომ გეკითხათ, რომელი პერიოდი იყო შენთვის ყველაზე გამორჩეული და საინტერესო, დაუფიქრებლად სიღნაღის ხალხური სიმღერების ვაჟთა ანსამბლში მოღვაწეობის წლებს დაგისახელებდათ, რადგან სწორედ აქ ჩამოყალიბდა როგორც პროფესიონალი და ლოტბარ ვლადიმერ ნანობაშვილის ხელმძღვანელობით დაიხვეწა მისი საშემსრულებლო ოსტატობა. მას შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდა ცნობილ კომპოზიტორთან სანდრო მირიანაშვილთან, დიდი წარმატებით ასრულებდა მის სიმღერებს. ისმენ მისი სიმღერების ჩანაწერს და ფიქრობ, რა ღვთიური ძალა აქვს ჩვენს დალოცვილ ქართულ ხალხურ სიმღერას, რა ბგერათაწყობა და ჰარმონიაა, რა სითბო, მოფერება და სიყვარულია მასში ჩადებული, რა დიდებული სწრაფვაა უკიდეგანო ზეციური სამყაროსაკენ. ის რომ არ არსებობდეს, ალბათ, ღარიბი და უინტერესო იქნებოდა ჩვენი სულიერი სამყარო, ყოველდღიურობა.

1967 წლის 29 აპრილს ჩვენი დიდი თანამემამულის, წამებული, ტრაგიკული ბედის მქონე რეჟისორის სანდრო ახმეტელის 80 წლის იუბილეზე სიღნაღის ვოკალურ ჯგუფთან ერთად ვარა ჩახვაშვილმა ორი სიმღერა შეასრულა: სიკო ფაშალიშვილის ტექსტზე შექმნილი — „მაშ გამარჯვება, ტკბილო სიცოცხლევ“ და ნიკო სულხანიშვილის — „დაიგვიანეს“. შემსრულებლებს ფეხზე ამდგარმა მაყურებელმა ოვაცია გაუმართა. ამავე წელს მონაწილეობა მიიღო ოქტომბრის რევოლუციის 50 წლისთავის აღსანიშნავად გამართულ კონკურსში, სადაც მან პირველი ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

1969 წელს სოლისტად იწვევენ ოთარ ბერძენიშვილის ვოკალურ ანსამბლში, რომელიც „ქართული კულტურის დღეებთან“ დაკავშირებით საგასტროლოდ მიემგზავრებოდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, გერმანელმა მაყურებელმა დიდი ინტერესით მიიღო ქართველი ხელოვანები. არც იქ მოჰკლებია ოვაციები ჩახვაშვილის მიერ შესრულებულ სიმღერებს — „ოროველას“ და „დაიგვიანეს“, საყოველთაო მოწონება ხვდა წილად.

...მთელი დღე ფიქრებში გაატარა, გული ვერაფერს დაუდო. კულტურის სამინისტროდან რეკავდნენ და ქალბატონ ვარას თბილისში ჩასვლას სთხოვდნენ. სამინისტროში შეიტყო, რომ აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამოზე ჰამლეტ გონაშვილი უნდა შეეცვალა და „დაიგვიანეს“ მას უნდა ემღერა. თავისთავად ეს მისთვის დიდი პატივი იყო. გაკვირვებულმა და ცოტა დაბნეულმა ორგანიზატორებს მოკრძალებით განუცხადა: „მე არაპროფესიონალი მომღერალი ვარ, იქნებ, სხვა შეარჩიოთ ვინმე?!“ „ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ ჰამლეტის შემდეგ საქართველოში სხვა არავინ გვეგულება „დაიგვიანეს“ რომ მღეროდესო“, — განუცხადეს. იმდროინდელ თბილისელ მაყურებელს, ალბათ, არასოდეს დაავიწყდება საიუბილეო საღამოზე ვარა ჩახვაშვილის მიერ შესრულებული „დაიგვიანეს“. იგი მას ბევრჯერ შეუსრულებია, მაგრამ ეს საღამო მაინც სულ სხვანაირი იყო.

საქართველოში ამერიკიდან პროდიუსერი ჩამოვიდა, ხალხური თვითმოქმედი კოლექტივები უნდა ენახა და მათგან საუკეთესო აერჩია ამერიკაში საგასტროლოდ. მოსმენაზე მიწვეული იყო სიღნაღის ანსამბლი „მრავალჟამიერი“, ვარა ჩახვაშვილის მონაწილეობით სხვადასხვა მიზეზით ანსამბლი დათვალიერებაზე ვერ გამოცხადდა, პროდიუსერმა ქალბატონ ვარას სხვა ანსამბლთან სიმღერა შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო: თუ სიღნაღის ანსამბლი არ გამოვა, სხვა ანსამბლთან არ ვიმღერებო. ალბათ, ხვდებით, რას ნიშნავდა იმ პერიოდში ამერიკაში საგასტროლოდ წასვლა. მისი ეს ქმედება ვარა ჩახვაშვილის ღირსეულ საქციელზე მეტყველებს.

1970 წელს ფირმა „მელოდიამ“ გრამფირფიტაზე ჩაწერა მისი სამი სიმღერა — „ნანა“, „დაიგვიანეს“ და „ოროველა“, ამავე პერიოდში საქართველოს ტელევიზიამ ფირზე აღბეჭდა მისი „დაიგვიანეს“, რომელიც ხშირად გადაიცემოდა.

ქალბატონი ვარა წლების განმავლობაში სიღნაღის მუსიკალურ სასწავლებელში მოღვაწეობდა. ყოველდღე დინჯი ნაბიჯებით აუყვებოდა სასწავლებლისაკენ მიმავალ კიბეებს, მოსწავლე-ახალგაზრდები დიდი სიყვარულით, გულწრფელი ღიმილით ეგებებოდნენ ამაგდარ ადამიანს. მერე კი შედიოდა თავის სამუშაო ოთახში, საიდანაც ხანდახან მუშაობასთან ერთად „ვარასეული“ გულიდან ამონაკვნესი ღიღინი ისმოდა. სიმღერა ხომ მისი სულის საზრდო და ცხოვრების საგზალი იყო. მისი ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ, შთაბეჭდილების ქვეშ მყოფმა პოეტმა გიორგი ჯანგულაშვილმა ასეთი სიტყვები მიუძღვნა:

„თრთის ტელეეკრანი და ქალი ჭაღარა
ირწევა, ვით ლერწმის ღერი
„დაიგვიანეს, ჯერ არსად სჩანანო...“
ვაი, რა სევდიანად მღერის!..
ო, რა ცეცხლს უკიდებს ნაცნობ
მელოდიას,
სულს, რომ ერთიანად ჰძრავს?!
იწვის ტკბილი ჰანგი, იწვის თავადაც და
ჯადოსნურ ჩუქურთმებს წნავს.
ქალო, შავოსანო, ზეცით
მადლცხებულო,
გენის სიდიადის ქმნავ, —
ვარა ჩახვაშვილო, ყელი დაგელოცოს
და ეგ სირინოზის ხმა!“

ქალბატონი ვარა ჩახვაშვილი გარდაიცვალა 2000 წელს, 74 წლისა, დაკრძალულია მშობლიურ სიღნაღში.

...გახსენების საღამოზე მოგონებებთან ერთად სასიამოვნოდ ჟღერდა ვარა ჩახვაშვილის სიმღერები, აღსავსე შინაგანი განცდით და მღელვარებით. ფიქრებში წასულს სულ ერთი აზრი მიტრიალებდა და ჩემს გონებას არ ასვენებდა, რომ ვიდრე ასეთი გამაოგნებელი ხალხური მელოდია არსებობს, საქართველოს მარადიულობას საშიშროება არ ემუქრება.

გელა ძოძიაშვილი,
რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მუშაკი, ღირსების ორდენის კავალერი, ეკონომიკის დოქტორი, ვანო სარაჯიშვილის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი

აჭარა პოლონელი ჟურნალისტების პრესტურს მასპინძლობს

აჭარის ტურიზმის დეპარტამენტი აგრძელებს სამიზნე ქვეყნებიდან პრესტურების ორგანიზებას. ამჯერად, აჭარაში პოლონელი ჟურნალისტები იმყოფებიან. რეიტინგული მედია საშუალებების ჟურნალისტები აჭარის ტურისტულ პოტენციალს გაეცნობიან. სამდღიანი ვიზიტისას ისინი ბათუმის ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს დაათვალიერებენ, ეწვევიან მტირალას ეროვნულ პარკსა და ბათუმის ბოტანიკურ ბაღს. ასევე გაეცნობიან რეგიონის კულტურულ-ისტორიულ წარსულს გონიოს ციხე-სიმაგრესა და მუზეუმებში. ისინი ადგლობრივ სამზარეულოსაც დააგემოვნებენ და მათი მომზადების მასტერკლასებს გადაიღებენ. ჟურნალისტების მიერ მომზადებული სტატიები და რეპორტაჟები ზაფხულის ტურისტული სეზონის დაწყებამდე პოლონურ მედიაში გამოქვეყნდება.

სოსო ცინცაძე:

არ იფიქროთ, დიპლომატები აღარ ეყოლება ამერიკას და საქართველოს ვერავინ მიხედავს!

ბლუმბერგის ინფორმაციით, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი 2300 დიპლომატის დათხოვნას გეგმავს, რაც კადრების 9%-ით შემცირებას ნიშნავს.

მართალია, შტატების შემცირების პროცესი ორ წელიწადს გასტანს, მაგრამ ამით მნიშვნელოვანი ხარჯები დაიზოგება.

ამერიკული წყაროს ინფორმაციით, როცა რექს ტილერსონმა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის პოსტი დაიკავა, ის გაოცებული იყო, თუ რამდენს ხარჯავდა სახელმწიფო დეპარტამენტი საზღვარგარეთ მომუშავე დიპლომატთა ოჯახის წევრების ცხოვრებასა და განათლებაზე.

როგორც ჩანს, ამერიკაში არა მხოლოდ დიპლომატებზე გაწეული თანხების გამოთავისუფლებას ცდილობენ, არამედ ეჭვობენ, რომ ამერიკელმა დიპლომატებმა ფასდაუდებელი სამსახური სულაც არ გაუწიეს ამერიკას. ამდენად, სავარაუდოდ, 2300 მოხელე სულაც არ იქნება დანაკლისი აშშ-სთვის.

საქართველოშიც ანალოგიურად ფიქრობენ. ზოგიერთების მეხსიერებას დღემდე შემორჩა მეთიუ ბრაიზას, ჯონ ბასის და სხვათა „ნათელი სახეები“, რომლებმაც ამერიკული სამართლიანობისა და დემოკრატიულობის იდეა კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენეს და ბევრ ქართველს ამერიკისადმი ნიჰილისტური განწყობა ჩაუნერგეს.

ერთი შეხედვით, აშშ-ის ელჩი ჯონ ბასი თითქოს არაფერს აშავებდა, მაგრამ მას ხშირად უხსენებენ 2011 წლის 26 მაისს, როცა ჯონ ბასს ორიოდე სიტყვით შეეძლო სისხლისღვრის შეჩერება, თუმცა ტრაგედიამდე ორი საათით ადრე, რატომღაც მოიწონა ხელისუფლების თვითნებობა და სატელევიზიო გამოსვლაში დემონსტრანტები დაძაბულობის გამომწვევ რადიკალებად მონათლა. მართალია, ჯონ ბასს „კრიზისული მენეჯერი“ შეარქვეს, რომელსაც ვაშინგტონი ყველა ცხელ წერტილში აგზავნიდა, მაგრამ ქართული კრიზისის განმუხტვა ჯონ ბასმა ვერ შეძლო.

ცალკე საუბრის თემაა მეთიუ ბრაიზა, სააკაშვილის პერსონაზე უზომოდ შეყვარებული ამერიკელი, რომელიც სააკაშვილის პროკურატურაში დაბარების გამო ამბობდა, შესაძლოა, საქართველო მაპს არც იმსახურებდესო. ასევე, ბრაიზას ეკუთვნის ცნობილი სიტყვები, „ეს არის ტერორისტული ოპერაცია და მსგავსი რამ დასაშვებია“, საუბარია ვანო მერაბიშვილის კადრზე, სადაც ის ორ გვამს ითხოვდა.

რატომ გეგმავენ ამერიკელები 2300 დიპლომატის დათხოვნას?!

ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ ამერიკა ამცირებს ხარჯებს არა მარტო საგარეო პოლიტიკური, არამედ სამხედრო დახმარების მიმართულებითაც. მაგალითად, უკრაინას შეუმცირეს დახმარების 68%, რომელიც თავის დროზე ობამამ გამოუყო. დახმარება ეკუთვნოდა საქართველოსაც, მოლდოვასაც, თუმცა ამ დახმარებების შემცირება პირდაპირ ჯდება ტრამპის მიერ განხორციელებულ პოლიტიკაში.

ამდენად, ამერიკელ დიპლომატთა სახლში გაშვება რექს ტილერსონის გადაწყვეტილება არ არის. უბრალოდ, ტილერსონი ცდილობს, როგორმე გაამართლოს დიპლომატებისთვის გაწეული ხარჯების შემცირება და იმაზე გადაიტანოს აქცენტი, რომ ეს თანხები იხარჯებოდა არამიზნობრივად, ამ თანხების გაფლანგვა დიპლომატების ოჯახის წევრების მიერ ხდებოდა.

„მე თუ მკითხავთ, ამერიკელ დიპლომატებს რთული სამუშაო აქვთ ჩასატარებელი. ბოლოს და ბოლოს, ეს პრესტიჟის ამბავიცაა, რომ ამერიკელ დიპლომატთა ოჯახის წევრები გამოირჩეოდნენ თავიანთი სტატუსითა და ყველანაირი ფორმით. თუმცა ცალკე საკითხია, კონკრეტულმა დიპლომატებმა რა მოუტანეს ამერიკას. ამის ანალიზი, ალბათ, უშუალოდ ამერიკის ჩასატარებელია. აქ მთავარია, სწორად აწვდიდნენ თუ არა ცალკეული დიპლომატები ამერიკის ხელმძღვანელობას ინფორმაციას, თუნდაც იმავე სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის პერიოდში კონტექსტიდან ხომ არ ჭრიდნენ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?! ყოველთვის ღირსეულად იქცეოდნენ თუ არა?!

საკმარისია გავიხსენოთ 2011 წლის 26 მაისს ამერიკის მაშინდელი ელჩის კომენტარები, რომლებიც ეწინააღმდეგებოდა ჩვენს ეროვნულ ინტერესებს და ხდებოდა სააკაშვილის სისხლიანი დიქტატურის „გაპრავება“. სხვათა შორის, ამერიკელებს ეს სჩვევიათ, მათი პოლიტიკა პინოჩეტის მიმართაც არ იყო ისეთივე, როგორც ჩვენ გვგონია, რომ ამერიკელები მუდმივად იცავენ დემოკრატიას“, — აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ და ამერიკის ეროვნული ინტერესების კლასიფიკაციის საკითხსაც გამოეხმაურა.

მისივე თქმით, თვით ამერიკის სამეცნიერო აკადემიური წრეები გამოარჩევენ ამერიკის ეროვნული ინტერესების ოთხ კლასიფიკაციას: ეს არის სასიცოცხლო, მთავარი, მნიშვნელოვანი და პერიფერიული ინტერესები. აკადემიური წარმომადგენლები იმასაც აღიარებენ, რომ ადამიანის უფლებების დაცვა ეს არის ამერიკელების პერიფერიული ინტერესი. მართლაც, ზოგჯერ ამერიკელები ადამიანის უფლებებს იყენებენ, როგორც თავიანთი რბილი ძალის ინსტრუმენტს.

პოლიტოლოგი **სოსო ცინცაძე** For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ სიმართლეს თუ ვიტყვით, ამერიკელი დიპლომატები ძალზე ხელგაშლილად ცხოვრობენ. ასევე, დიდი შემოსავალი აქვს კრწანისში დაბინავებულ ეუთოს და სხვა მისიებს.

„მათი ერთ-ერთი წარმომადგენელი მეუბნებოდა, დღეებს ვითვლი, პენსიაზე როდის გავალ, რადგან ავსტრალიაში უკვე შერჩეული მაქვს კარგი სასტუმრო, პირველ სართულზე თავისი ბარით. აქ ფული დავაგროვე და უნდა წავიდე, ის სასტუმრო ვიყიდო და იქ ვიცხოვროო. აქედან გამომდინარე, ამერიკელი დიპლომატების მიმართ ტრამპის ადმინისტრაციის მიერ გამოვლენილი ეკონომიურობა ზედმეტად არ მიმაჩნია.

მეორე უკიდურესობაა ჩვენი დიპლომატები. ხშირად გაიგონებთ, ემიგრანტებს ვერ აქცევენ ყურადღებასო. ამ დროს რა ქნას თურქეთში ჩვენმა ელჩმა, როცა სამი ადამიანი ჰყავს შტატში, ბენზინის ფულად გროშები აქვს. იყო დრო, ტელეფონის ფულს ვერ იხდიდნენ. ალექსანდრე (საშა) ჩიკვაიძე მიყვებოდა, საბერძნეთში ელჩად რომ იყო, დილით, სანამ სამსახურში წავიდოდა, ფანჯრიდან იყურებოდა და ელოდა, იქვე ახლოს მცხოვრები მათივე საელჩოს მესაკუთრის მანქანა როდის გავიდოდა, რადგან ქართველებს მისი შენობის ვალი ჰქონდათ. არც ეს ვარგა, მაგრამ **ამერიკელებს ფული ყოველთვის ბლომად ჰქონდათ, გაიზარდა მათი ოჯახის წევრების მადაც, თავიანთთვის ცალკე სკოლებს იშენებენ, ცალკე სპორტულ მოედნებს. საქართველო რომელი დიდი დიპლომატიური წერტილია ამერიკისთვის, ამხელა საელჩო ჰქონდეს?!“,** — მიაჩნია სოსო ცინცაძეს.

მისივე თქმით, 2300 ამერიკელი დიპლომატის რაოდენობის შემცირება ჯერ მხოლოდ პროექტის დონეზეა. ტილერსონმა შექმნა კომისია, რომელსაც ტრამპი, ალბათ, დაამტკიცებს, სადაც ჩამოთვლილი იქნება, თუ რომელი დიპლომატიური თანამდებობები გაუქმდება. აქ ლაპარაკია ხელოვნურად შექმნილ თანამდებობებზე, გაბერილ შტატებზე.

ტრამპს მოუწევს დიპლომატთა ხარჯების შემცირება, რადგან **მან ისედაც უნდა შეამციროს გადასახადები, რასაც დაჰპირდა ამერიკელებს. თანაც, შიდა ვალი იზრდება, სამხედრო ხარჯებიც მატულობს. მექსიკასთან კედელი, ალბათ, აღარ აშენდება, რადგან ტრამპს საამისოდ ფული არ აქვს. ამდენად, ამერიკის ახლანდელი პრეზიდენტი პერიოდულად იცვლის თავის პრიორიტეტებს. თუ ადრე იძახდა, ვაჭრობას გავაუქმებ მექსიკასა და კანადასთანო, ასე არ იქნება. იგი ჩინეთსაც დაუტკბა. ამხელა ფლოტი გაგზავნა კორეაში და მარტო სამხრეთ კორეაში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემის დაყენება მილიარდი დოლარი ჯდება.** მართალია, ტრამპი ამბობს, ეს ფული სამხრეთ კორეამ უნდა გადაიხადოსო, მაგრამ სამხრეთ კორეა არც „ჰო“-ს ამბობს, არც „არა“-ს. პარალელურად, **შემცირდა „იუსაიდის“ ხაზით დახმარებები, საქართველოს გაუნახევრდა თანხები. ეს იმით აიხსნება, რომ ტრამპი ბიზნესმენია და ფულის ფასი კარგად იცის.**

ამის მიუხედავად, სოსო ცინცაძე მიიჩნევს, რომ ამერიკის დიპლომატია კადრების გარეშე არ დარჩება. თავის დროზე ნიქსონიც აპირებდა კადრების შეკვეცას, მაგრამ ეს პოლიტიკა მიივიწყა. მხოლოდ რამდენიმე ასეული კაცი შეამცირა, ისიც ფარულად, რადგან კისინჯერმა ლამის თავი მოიკლა, პირიქით, უფრო მეტი კადრი მჭირდებაო.

„არ იფიქროთ, დიპლომატები აღარ ეყოლება ტილერსონს და ამიტომ საქართველოს ვერავინ მიხედავს. საქართველოსადმი რა ინტერესიც ჰქონდა ტრამპს არჩევნებამდე, იგივე ინტერესი აქვს და ექნება დღესაც, ხვალაც, ზეგაც“.

მანანა ნოზაძე

ჩინელები ჩრდილოეთ კორეას ტოვებენ

ჩინეთის საელჩო თავის მოქალაქეებს მოუწოდებს დატოვონ ჩრდილოეთ კორეა. ჩინეთი შიშობს, რომ აშშ-მა შეესაძლოა, საომარი პროვოკაცია შექმნას ჩრდილოეთ კორეაში. რადიოს წყაროს ცნობით, ვინც ჩინეთიდან ჩრდილოეთ კორეაში ორი სამი თვით იყო ჩასული, იძულებული გახდა დაეტოვებინა ქვეყანა.

ტრამპი კლინტონს პასუხობს

„ცრუ ისტორია ტრამპისა და რუსეთთან მისი კავშირის შესახებ დემოკრატებმა იმისთვის გამოიყენეს, რომ თავიანთი კანდიდატის დამარცხება გაემართლებინათ. იმაზე კი არავინ საუბრობს, რომ ტრამპმა შესანიშნავი საარჩევნო კამპანია ჩაატარა“, — წერს ტრამპი სოციალურ ქსელ ტვიტერში. მანამდე ჰილარი კლინტონმა საპრეზიდენტო არჩევნებში დამარცხების მიზეზებზე ისაუბრა. ყოფილი კანდიდატის თქმით, მისი დამარცხება რუსი ჰაკერებისა და გამოძიების ფედერალური ბიუროს ხელმძღვანელის, ჯეიმს კომის დამსახურებაა, რომელმაც ელექტრონული ფოსტის სკანდალური საქმის გამოძიება არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე გადაწყვიტა.



ვენესუელაში ოპოზიციამ ბარიკადების აგება დაიწყო

ვენესუელაში პოლიტიკური კრიზისი პიკს აღწევს. უკვე თვეზე მეტია, ოპოზიცია ქუჩაშია, ვადამდელ არჩევნებს ითხოვს და ქვეყნის პრეზიდენტს ეკონომიკურ კრიზისში ადანაშაულებს. მადუროს გადაწყვეტილებით, დაგეგმილია ქვეყნის კონსტიტუციის ცვლილება, უგო ჩავესის მემკვიდრე თვლის, რომ ცვლილება აუცილებელია იმისთვის, რომ ქვეყნის გარედან გადატრიალების მცდელობა აღიკვეთოს. დათხოვნილი უნდა იქნას ნაციონალური ასამბლეა, სადაც მას უმრავლესობა არ ჰყავს.

მექსიკაში პოლიციამ ცნობილი ნარკობარონი დააკავა

დამასო ლოპეს ნუნიესი პოლიციამ ანზურესის რაიონში აიყვანა. მას ბრალი ნარკოტიკებით ვაჭრობაში, ფულის გათეთრებასა და დანაშაულებრივი სინდიკატის შექმნაში ედება. ნუნიესს ცნობილი ნარკობარონის ჰოაკინ ელ ჩაპოს, იგივე გაზმანის მემკვიდრედ განიხილავენ, რომლის ექსტრადიციაც შეერთებულ შტატებში იანვარში განხორციელდა.

სირიაში სნაიპერმა რუსი ოფიცერი მოკლა

სირიაში კიდევ ერთი რუსი სამხედრო დაიღუპა. ვიცეპოლკოვნიკი ალექსეი ბუჩელნიკოვი სნაიპერის ტყვიას ემსხვერპლა. რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ოფიცერი სირიელი არტილერისტების წვრთნაში იღებდა მონაწილეობას. ოფიციალური მონაცემებით, საომარი მოქმედებებისას სირიაში 32 რუსი სამხედრო მოსამსახურეა დაღუპული.

კანონს მორგებული არასრულწლოვანთა ბანდები თბილისში

საქართველოში მცირეწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების კუთხით ოფიციალური სტატისტიკა არ არსებობს, თუმცა ბოლო პერიოდში სოციალურ ქსელებში დაზარალებულთა მიერ განთავსებული ინფორმაციები მომრავლდა ბავშვთა მიერ ჩადენილი დანაშაულების თაობაზე. ისინი ყვებიან, როგორ შედიან მცირეწლოვანები დღის ბოლოს მაღაზიებსა თუ სალონებში, სალაროს აცარიელებენ და შემთხვევის ადგილს ტოვებენ. რიგ შემთხვევებში ობიექტის მესაკუთრე მსგავსი თავდასხმის მსხვერპლი რამდენჯერმე გამხდარა.

„მაღაზიას ისე აღებენ, რომ საკეტი არ ზიანდება. ჩემთანაც შემოიპარნენ. სულ რაღაც 20 წამი დაჰყვეს შენობაში. ზუსტად იცოდნენ, ფული სად იყო შენახული, თანხა აიღეს და გაიქცნენ“, — ყვება ირაკლი ჩოგოვაძე.

ამას წინათ ქალბატონს გაუტეხეს მაღაზია, თუმცა მოსაპარი ვერაფერი ნახეს და მაღაზია დაწვეს. მესაკუთრეს 50 000 ლარის ზარალი მიადგა.

კიდევ ერთი ქალბატონი წუხდა, „მერამდენედ გამტაცეს ხელჩანთაო“.

კიდევ ერთი დაზარალებული, რომელსაც სალონი გაუქურდეს, ყვება ისტორიას, რომელიც სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს:

„სათვალთვალო კამერები გავხსენით. პოლიციელებმა ბავშვი იცნეს და დააკავეს. როდესაც რაღაც ოქმს ავსებინებდნენ, ჰკითხეს, რატომ აკეთებდა ამ ყველაფერს. ბავშვმა კი ასეთი პასუხი გასცა: **„ფული მჭირდება, ახლა, სანამ 14-ის არ ვარ, შემიძლია ეს გავაკეთო, ფულს შევაგროვებ და 14 წლის გავხდები თუ არა, აღარ მოვიპარავო“.**

საქმე ისაა, რომ საქართველოში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი 14 წლითაა განსაზღვრული:

„სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებისას ან მისგან გათავისუფლებისას არასრულწლოვნად ითვლება ის, ვისაც დანაშაულის ჩადენამდე შეუსრულდა თოთხმეტი წელი, მაგრამ არ შესრულებია თვრამეტი“, — ვკითხულობთ არასრულწლოვანის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის მე-80 მუხლში.

როგორც ჩანს, არასრულწლოვანებმა კანონით მინიჭებული ეს „შესაძლებლობა“ გააცნობიერეს და ახლა აქტიურად იყენებენ.

2016 წლის ივნისის მდგომარეობით, თბილისში ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე 634 ბავშვი დაფიქსირდა. ამ პრობლემაზე უფლებადამცველებს არაერთხელ გაუმახვილებიათ ყურადღება. თუმცა კრიმინალურ აქტივობებში ბავშვის ჩართვის პრევენციისთვის მხოლოდ თავშესაფარი არაა საკმარისი, არასრულწლოვანთა დანაშაულს ხომ მძიმე სოციალური ფონიც და ხშირად თავად უფროსებიც, მათ შორის ოჯახის წევრებიც განაპირობებენ.

უფლებადამცველები აფრთხილებენ ხელისუფლებას, საკითხის სენსიტიურობა გაითვალისწინოს.

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი **თეა მაჩაიძე** განმარტავს, რომ არასრულწლოვანის დაკავება, პატიმრობა უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში და აქაც უპირატესობა უნდა მიენიჭოს აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიებებს, რაც იმას გულისხმობს, რომ არასრულწლოვანმა მის მიერ ჩადენილი დანაშაული გააცნობიეროს.

მის მსგავსად, ყოფილი ძალოვანი, არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართალდამცავთა დაცვის ლიგის“ ერთ-ერთი ლიდერი **ზაზა ჭაია** გამოსავალს არა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის დაწევაში და სხვადასხვა სახის სადამსჯელო ღონისძიებებში, არამედ ევროპული პრაქტიკის გაზიარებაში და სახელმწიფოს მიერ საკუთარი პასუხისმგებლობის რეალურად გაცნობიერებაში ხედავს.

„კვლევების თანახმად, ბავშვთა დანაშაული მზარდია საომარი მოქმედებების შემდეგ. კიდევ ერთი ფაქტორია სოციალური ფონი. ღარიბ და განვითარებად სახელმწიფოებში არასრულწლოვანთა დანაშაულის სტატისტიკა კატასტროფულად მზარდია. სწორედ ეს ბავშვები ავსებენ შემდეგ დანაშაულებრივ სამყაროს, სრულწლოვანთა მსხვილ ბანდებს. ამ წრეებიდან გამოდიოდნენ მაფიის ცნობილი ხელმძღვანელები, პოსტსაბჭოთა სივრცეში მოქმედი ე.წ. „კანონიერი ქურდები“, კრიმინალური ავტორიტეტები. საქართველოს რეალობაში სადღეისოდ არსებული მძიმე სოციალური ფონი ნოყიერი ნიადაგია საიმისოდ, რომ არასრულწლოვნებში დანაშაული გაიზარდოს. ჩვენ წავედით ევროპისკენ, შევუერთდით ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციას და მივიღეთ რეგულაციები კანონში. სისხლის სამართლის სუბიექტი ბავშვი არის 14 წლიდან, თუმცა სადღეისოდ 14 წლის ბავშვის წინააღმდეგ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობა იშვიათად გამოიყენება. მას შეიძლება, მოსამართლემ მიამაგროს ზედამხედველი. ასევე მოქმედებს „განრიდების ინსტიტუტი“, რომელიც არასრულწლოვანებში ფართოდ გამოიყენება. რაც შეეხება 14 წელს მიუღწეველს, ის მცირეწლოვანია და, უხეშად რომ ვთქვათ, სახელმწიფოც რომ დააქციოს, მასზე პასუხსიმგებლობა არ ვრცელდება. სხვათა შორის, პირადად მე კანონის ამ დათქმას მხარს ვუჭერ. მაგრამ ევროპაში არსებობს ბავშვთა სკოლები, სააღმზრდელო დაწესებულებები, კოლეჯები, სადაც ბავშვები ცხოვრობენ, მათთან ფსიქოლოგები, ექიმები მუშაობენ, ამასთან, მოქმედებს ოჯახში გაშვილების ინსტიტუტი, ტარდება ტრეინინგები, ზრუნავენ ბავშვების განათლებაზე, ჩამოყალიბებაზე. ჩვენს სინამდვილეში კი მსგავსი აქტივობები არ ხორციელდება. პრობლემა ნამდვილად ღრმაა. ბავშვებს კრიმინალურ აქტივობებში უფროსები აბამენ. ამისთვის კანონში სპეციალური მუხლია გათვალისწინებული, მაგრამ ის ფაქტობრივად არ მუშაობს. სტატისტიკა რომ აიღოთ, მსგავსი ტიპის 3-4 საქმე შეიძლება, იყოს გამოძიებული, ყოველდღიურად კი უამრავი ფიქსირდება და გამოუძიებელი რჩება. მსგავსი ტიპის კრიმინალთან მიმართებაში სახელმწიფო გულგრილია — ამას სხვა შეფასებას ვერ მივცემ! არადა, ვიმეორებ, შემდეგ სწორედ ეს ბავშვები ავსებენ სრულწლოვან ასაკში კრიმინალურ სამყაროს. ამ პრობლემას მხოლოდ კონფერენციები ვერ უშველის. ამას სჭირდება სპეციალური პროგრამები, სკოლები.. უნდა გაიხსნას კადეტთა კორპუსი, სადაც ბავშვები აღიზრდებიან და ჩამოყალიბდებიან სრულფასოვან მოქალაქეებად. მიუსაფარ ბავშვებზე ზრუნვა სახელმწიფოს ვალდებულებაა. ბავშვები არ უნდა იყვნენ განწირული კრიმინალური სამყაროს წევრობისთვის. ეს მათი არჩევანი არაა და არ შეიძლება, იყოს“, — ამბობს ზაზა ჭაია.

თავის მხრივ, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე **აკაკი ზოიძე** აცხადებს, რომ პარლამენტი ამ საკითხში ევროპული პრაქტიკით დაინტერესდება და საქართველოსთვის ოპტიმალური მოდელის მოსაძებნად აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად იმუშავებს.

სანამ ჩინოვნიკები მსჯელობენ, მოქალაქეები უსაფრთხოების ზომებს საკუთარი ძალებით აძლიერებენ და, როგორც ჩანს, გარკვეული დროის მანძილზე ასე გაგრძელდება.

დიანა მუსელიანი

„აქცენტი“

◎ ევროობლიგაციები

ლარის ლონდონური სვლაგეზი

საქართველოს ადგილობრივ სავალუტო და კაპიტალის ბაზრებზე მნიშვნელოვანი სიახლეა: ძველი კონტინენტის ერთ-ერთი წამყვანი საფინანსო ინსტიტუტი — ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), ანუ ევრობანკი, რომელსაც წლების მანძილზე მჭიდრო საქმიანი ურთიერთობები აქვს ქვეყნის მთავრობასთან და ეროვნულ ბანკთან, ასევე კომერციულ ბანკებთან, ლარით დენომინირებული პირველი ევროობლიგაციები გამოუშვა.

ლარით დენომინირებული ევრობანკის ობლიგაციები ხუთწლიანი ვადისაა, მათი ჯამური ღირებულება კი 120 მილიონი ლარი (0,46,7 მილიონის ეკვივალენტი). საქართველოს მხრიდან ამ უაღრესად მნიშვნელოვან აქციაში წამყვან როლს ასრულებს, მის განხორციელებას უძღვება და უზრუნველყოფს სს თიბისი ბანკი. ევრობანკის ლარში დემონირებული ევროობლიგაციების კუპონები საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოშვებული სადეპოზიტო სერტიფიკატების სამთვიან განაკვეთებზეა მიბმული. ახალი ევროობლიგაციებით საერთაშორისო ვაჭრობის უზრუნველსაყოფად, ევრობანკი ჯერ ლონდონის საფონდო ბირჟას, შემდეგ კი შესაბამისი განცხადებით საქართველოს ეროვნულ ბანკს მიმართავს.

ლარით დენომინირებული ევროობლიგაციების გამოშვების მნიშვნელობას ის გარემოება განაპირობებს, რომ საერთაშორისო ფასიანი ქაღალდების დეპოზიტირებში ეროვნული ვალუტა ანგარიშსწორების ერთეულად ჩაერთვება, თანაც ხელს შეუწყობს ქვეყნის ადგილობრივ ბაზარზე უცხოური კაპიტალის შემოდინებას. ეს ნაბიჯი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ დიდ როლს, რომელსაც ევრობანკი საქართველოს შიდა ბაზარზე წლების მანძილზე ასრულებს, რაც უწინარესად, ადგილობრივი წარმოების წახალისებასა და ბიზნესის ეროვნული ვალუტით დაფინანსებით გამოიხატება.

აღსანიშნავია ასევე, რომ ევრობანკმა დღემდე საქართველოში ორ ასეულზე მეტი პროექტის განხორციელებაში მიიღო მონაწილეობა და ქვეყნის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორში 310 მილიონი ევროს ინვესტირება მოახდინა.

— საქართველოს ეროვნული და ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკები სხვადასხვა პროექტების განხორციელებაზე დიდი ხნის მანძილზე თანამშრომლობენ, — განაცხადა ამ ისტორიულ მოვლენასთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა **კობა გვენეტაძემ.** — ლარით დენომინირებული ობლიგაციების გამოშვებაც ამ თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია. საქართველოს ეროვნული ბანკი აქტიურად უჭერს მხარს ლარით დენომინირებული ბონდების გამოშვებას, რაც სრულიად ახალი ეტაპია ქართული კაპიტალის ბაზრის ისტორიაში.

ეროვნული ბანკის პრეზიდენტის თქმით, ლარით დენომირებული ფასიანი ქაღალდების გამოშვება ერთგვარად „მახარეა“ საქმიანი ქაღალდების საერთაშორისო ბაზარზე, რომელმაც გზა უნდა გაუკვალოს სხვა ბონდების გამოშვებას. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებასაც, რომ აღნიშნული სრულიად შეესაბამება ქვეყანაში კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიას, თანაც მან დიდად უნდა შეუწყოს ხელი ლარიზაციის პროცესის გაძლიერებას.

აღნიშნულთან დაკავშირებით ერთგვარი მიმოხილვა გააკეთა ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკის წარმომადგენელმა **ბრუნო ბალვანერამ,** რომელმაც ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ევრობანკი პირველი იყო, ვინც ფასიანი ქაღალდების ადგილობრივ ბაზარზე ლარით დენომინირებული ობლიგაციების განთავსება დაიწყო. ეს სამჯერ — 2014, 2015 და 2016 წლებში მოხდა და ისინი ორ-სამწლიანი ვადისანები იყვნენ.

— ამჯერად კი უპრეცედენტო ღონისძიებას ვაანონსებთ, როცა ლონდონის საფონდო ბირჟაზე ლარით დენომინირებული ქართული ობლიგაციები განთავსდება, რომელთა ვადიანობა ხუთი წელი იქნება, რაც კიდევ უფრო გაზრდის საქართველოს ცნობადობას საერთაშორისო საფინანსო წრეებში, — აღნიშნა ბატონმა ბალვანერამ.

ამდენად, სავსებით თვალნათლივ ჩანს, თუ რაოდენ დიდია ევრობანკის როლი საქართველოში ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარებაში, რომელიც ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა ამ ურთულეს და ქვეყნის ფინანსურად გაძლიერებისთვის უმნიშვნელოვანეს საქმეში როგორც მთავრობას, ასევე ეროვნულ ბანკს, რითაც საუცხოო მაგალითი უჩვენა სხვა საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებს. ეს გარემოება ხაზგასმით აღნიშნა ბატონმა კობა გვენეტაძემაც, რომელმაც ამასთან დაკავშირებით დასძინა:

— ევრობონდების ბაზარს საკმაოდ ბევრი ინვესტორი ჰყავს, რომლებსაც ამიერიდან შესაძლებლობა ექნებათ, ლარებით დენომინირებული ფასიანი ქაღალდები შეიძინონ. იმედია, ეს ხელს შეუწყობს ქართული კაპიტალის ბაზრების უცხოელ და ადგილობრივ ინვესტორთათვის მიმზიდველობას.

თავის მხრივ, სს თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის **ვახტანგ ბუცხრიკიძის** თქმით, ლონდონის ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე ლარით დენომინირებული ობლიგაციების განთავსება თიბისი ბანკისა და ევრობანკის კიდევ ერთი წარმატებული გარიგებაა, რომელიც გააძლიერებს ლარის ლიკვიდურობას და მეტ ინვესტორს მოიზიდავს ადგილობრივ ბაზარზე.

ოთარ ტურაბელიძე

◎ ლეგიონერები

ქართველთა სათასო სეზონი

რამდენიმე დღის წინათ გაუწყეთ, რომ გურამ კაშიამ არნემის „ვიტესის“ მიერ არსებობის 125 წლის განმავლობაში პირველად მოგებული ჰოლანდიის თასი აღმართა და აი, ქართველი კაპიტნის მსგავსად, კიდევ ორმა ჩვენებურმა ლეგიონერმა იგემა ანალოგიური წარმატება.

რუსეთი. „ლოკომოტივი“-„ურალი“ 2:0. აღსანიშნავია, რომ სხვათა ომში ერთმანეთს სამტრედიელი მცველები საბა კვირკველია და ჯიმი ტაბიძე დაუპირისპირდნენ, რომლებმაც შეუცვლელად ითამაშეს, ხოლო ურალელთა შემტევი გიორგი ჭანტურია ჯერაც ტრავმირებულია და პარტნიორებს ვერ დაეხმარა.

დავძენთ, რომ „ჯვაროსანთა“ წამყვანმა უკანახაზელმა მეორედ მოიპოვა რუსეთის თასი — მოგეხსენებათ, რკინიგზელებში გადასვლამდე იგი ყაზანის „რუბინის“ სპორტულ ღირსებას იცავდა, თუმცა, 2012 წელს მოსკოვის „დინამოსთან“ 1:0 მოგებულ სატიტულო ბრძოლაში მას მონაწილეობა არ მიუღია.

პოლონეთი. „არკა“-„ლეხი“ 2:1 (დამატებით დროში, ძირითადი დრო 0:0). პოზნანელებს საკონტროლო ტყვია 112-ე წუთზე საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთმა ლიდერმა ლუკა ზარანდიამ დაახალა, რომელმაც მინდვრის საკუთარი ნახევრიდან დაწყებული სოლო რეიდი შორეულ კუთხეში გატანილი გოლით დააგვირგვინა და ანგარიში სოლიდური გახადა — 2:0.

სხვათა შორის, იგი მინდორზე 71-ე წუთზე გამოჩნდა, მისმა კლუბმა კი მეორედ შეაბიჯა ოლიმპზე (პირველად — 1979 წელს).

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

კარდიფისკენ - რეალურად!

მადრიდის „რეალმა“ უდიდესი ნაბიჯი გადადგა უელსის დედაქალაქისკენ, სადაც 3 ივნისს მშვენიერ „მილენიუმზე“ ჩემპიონთა ლიგის ფინალური მატჩი გაიმართება. არადა, თანაქალაქელ „ატლეტიკოსთან“ ორრაუნდიანი დუელის წინ ბევრი როდი მოიძებნებოდა ისეთი, ვინც „სამეფო კლუბისათვის“ ოპტიმისტურ პროგნოზებს აკეთებდა. ეტყობა, მათ ავიწყდებოდათ, რომ ზინედინ ზიდანის გუნდს, ტრავმირებული გარეთ ბეილის არყოფნაში, მაინც ჰყავს ქარიზმატული ლიდერი კრიშტიანუ რონალდუს სახით, რომელსაც მარტოს შეუძლია გადაწყვიტოს ამა თუ იმ შეხვედრის ბედი. მეტიც, ლიონელ მესისთან ერთად პორტუგალიელი თამამად შეგვიძლია მივიჩნიოთ თანამედროვე ფეხბურთის მეფედ. ასე რომ, სტერეოტიპი — ტახტი ორ გვირგვინოსანს ვერ ჰგუობსო, ამ შემთხვევაში დასამსხვრევადაა განწირული.

„რეალი“ — „ატლეტიკო“ 3:0
(პირველი ტაიმი 1:0)

გოლები: რონალდუ (3)

დიეგო სიმეონემ, მართალია, შემტევი შემადგენლობა შეარჩია, სადაც გრიზმანგამეირო-კარასკო-საულის მოიერიშეთა კვარტეტისთვის გამოიძებნა ადგილი, მაგრამ მათ თითქმის არაფერი ღირებული არ შეუქმნიათ ნავასის კართან. მიზეზები, უპირველესად, მასპინძელთა თავკაცის ტაქტიკურ განსწავლულობაშია საძებნი, თუმცა, აღსანიშნავია მწყობრში ვარანის დაბრუნებაც, რომელმაც შეადუღაბა დაცვის ხაზი და სერხიო რამოსთან ერთად გაუვალი წინაღობა აღმართა ცენტრალურ ზონაში.

საპირისპირო სურათი იყო შექმნილი „შავ-წითელთა“ შორის, რომელთა საკვანძო ფიგურის ხუანფრანის ტრავმა საბედისწერო აღმოჩნდა სტუმართათვის — მოგეხსენებათ, ეს ზეაქტიური მარჯვენაფლანგელი უშუალო მოვალეობასთან ერთად წარმატებით ეხმარება აგრესიულ პარტნიორებს და სახიფათო გარღვევებსაც ახორციელებს მეტოქეთა პოზიციებისკენ.

ასეა თუ ისე, „სანტიაგო ბერნაბეუზე“ უკვე იზეიმეს მეთორმეტე ტრიუმფის მოახლოება მაშინ, როცა მოწინააღმდეგის არგენტინელი დამრიგებელი ზედიზედ მეოთხედ დგას ევრომადრიდულ დერბიში კრახის წინაშე.

დაბოლოს: რონალდუმ მე-400 გოლი გაიტანა „რეალის“ მაისურით, აქედან 50-ე — ჩემპიონთა ლიგის პლეი-ოფში და ყველაზე მეტი — მე-12 — უშუალოდ ნახევარფინალებში. მანვე პირველმა მოახერხა ყველაზე პოპულარული ევროტურნირის პლეი-ოფის ზედიზედ ორ მატჩში ჰეთ თრიკის შესრულება.

რასაკვირველია, გაგრძელება იქნება.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

ფაჩულიას 10-ქულიანი წვლილი

ზაზა ფაჩულიას „გოლდენ სტეიტმა“ ნბა-ს დასავლეთ კონფერენციის 1/4-ფინალური სერიის პირველ მატჩში „იუტა“ 106:94 დაამარცხა. ზაზა ტრადიციულად სასტარტო 5-ეულში იმყოფებოდა და პარკეტზე 14 წუთი დაჰყო. ამ დროში ქართველმა ცენტრმა გუნდს 10 ქულა, 1 მოხსნა და ერთი ბლოკ-შოტი შესძინა. ზაზამ 4-დან სამი ორქულიანი და 4-დან ოთხივე საჯარიმო სროლა ჩააგდო.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, „მეომრები“ მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდნენ. კარის 22 ქულა ჰქონდა, გრინს და ტომპსონს — 17-17. „იუტაში“ 13 ქულით და 8 მოხსნით გობერი გამოირჩა. სერიაში „გოლდენ სტეიტი“ 1:0 დაწინაურდა. მომდევნო შეხვედრა 5 მაისს თბილისის დროით დილის 06:30 საათზე დაიწყება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ დაბრუნება

მარია შარაპოვა: „ბედნიერი ვარ“

რუსმა ჩოგბურთელმა მარია შარაპოვამ შტუტგარტის ტურნირის შესახებ ისაუბრა.

„ტურნირის დაწყების წინ თუ ვინმე მეტყოდა, რომ სამ მოთამაშეს დავამარცხებდი და ნახევარფინალს სამსეტიან შეხვედრაში წავაგებდი, ამით კმაყოფილი ვიქნებოდი, რაც მოხდა კიდეც. ჩემი თამაში მომეწონა. დიდი ხნის უთამაშებლობის შემდეგ კორტზე გამოსვლა და შედეგის დადება ურთულესია. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ დავბრუნდი“, — განაცხადა მან.

შეგახსენებთ, რომ წელიწადი და სამი თვე შარაპოვას დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია. მარია კორტს შტუტგარტის ტურნირზე დაუბრუნდა, სადაც რობერტა ვინჩი, ეკატერინა მაკაროვა და კონტავეიტი დაამარცხა, მაგრამ ნახევარფინალი მლადენოვიჩთან 6:3, 5:7, 4:6 დათმო.

ბადრი იაშვილი

◎ გულახდილად

კუნძულელთა კულტურული შოკი

„ლესტერ თაიგერზის“ შუამრბი მანუ ტუილაგი ამბობს, რომ წყნარი ოკეანის კუნძულებიდან ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში სათამაშოდ წასული მორაგბეები კულტურულ შოკს განიცდიან და მათ ადაპტაციისთვის განსაკუთრებული დახმარება სჭირდებათ.

ტუილაგი 1991 წელს სამოაში დაიბადა და ინგლისში სათამაშოდ 2010 წელს წავიდა. „ლესტერ თაიგერზში“ გატარებულ 7 სეზონში მან ინგლისის პრემიერშიპის 70 მატჩში 22 ლელო გაიტანა, ჩემპიონთა თასის 22 შეხვედრაში — 7. 2011 წლიდან ის ინგლისის ეროვნული ნაკრების წევრია, 26 კეპი მოიხვეჭა და 11 ლელო დადო. 2013 წელს მან ბრიტანელი და ირლანდიელი ლომების შემადგენლობაშიც ითამაშა.

„როდესაც ინგლისში თამაშის შანსი გამიჩნდა, უზარმაზარი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდი — უამრავი საბუთი, ვიზის გაფორმება... სამოაში ყველაფერი შენ გეკუთვნის, მიწა და სახლი, სადაც ცხოვრობ, არ ვიხდით გადასახადებს, ევროპაში კი სულ სხვა ცხოვრებაა. ინგლისში ჩამოსვლისას კულტურული შოკი მივიღე. აქ ყველაფერი სხვაგვარადაა და ყოველდღე ვაწყდებოდი ჩემთვის უცნაურ, უჩვეულო მომენტებს. სხვებთან შედარებით გამიმართლა, რადგან ინგლისში ჩემი ძმა უკვე ცხოვრობდა. კუნძულელები მშვიდი ადამიანები ვართ და ხშირ შემთხვევაში ამას უდარდელობად აღიქვამენ, თუმცა, ეს სიწყნარე ჩვენთვის პატივისცემის გამოხატვის ნიშანია“, — ამბობს 25 წლის მანუ ტუილაგი.

კობა კობახიძე

◎ ინტერნეტიდან

ულამაზესი „ბურთები“ „მარაკანაზე“

ბრაზილიაში ფესვჩაყრილი კონკურსის შესახებ, რომელსაც „მის ბუმ ბუმ“ ეწოდება, ალბათ უკვე ყველამ კარგად უწყით. ვისაც ჯერ კიდევ არ გაქვთ ამ დიადი ღონისძიების შესახებ ინფორმაცია, დიდის სიამით გეტყვით, რომ ესაა კონკურსი ყველაზე დიდ და ლამაზ უკანალიან ასულთა გამოსავლენად და ამ კონკურსის მიმდინარეობისას არაფერი სჯობს გავაგანიერ ქალთა ცქერას ანფასსა თუ პროფილში.

ეს კონკურსი უკვე გასცდა ბრაზილიის საზღვრებს და ამჟამად ანალოგიური ღონისძიებები მექსიკასა და კოლუმბიაშიც ეწყობა. სულ ცოტა ხნის წინათ „მის ბუმ ბუმის“ კონკურსისათვის მორიგი შერჩევა-კასტინგი გამოცხადდა და ახლა მთელი ლათინური ამერიკა უკანალების ზომვასა და აწონვაშია.

კონკურსის დასკვნითი ტური ლეგენდარულ „მარაკანას“ სტადიონზე გაიმართება და ბრაზილიური ფეხბურთის თავგადაკლული ქომაგები იმ ალაგას, სადაც თავის დროზე ბურთს პელე და გარინჩა აგორებდნენ, მრავალ საინტერესო და თვალსაამო „ბურთებს“ იხილავენ. კაცი ვერ იტყვის, რომელი ბურთია უკეთესი...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სამართალი გვიან, მაგრამ, მაინც ზეიმობს

„აკურას“ ღვინის ქარხანა კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა

სასამართლომ მერაბიშვილი და ადეიშვილი დამნაშავედ სცნო

თბილისის საქალაქო სასამართლოში დასრულდა „აკურას“ ღვინის ქარხნის უკანონოდ ჩამორთმევის ფაქტზე მიმდინარე საქმის განხილვა. სასამართლომ სრულად გაიზიარა პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და საქართველოს უშიშროების ყოფილი მინისტრი ივანე მერაბიშვილი და საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორი ზურაბ ადეიშვილი დამნაშავედ ცნო სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებისთვის.

სასამართლოს მიერ უკვე დადასტურებულია, რომ ივანე მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის ორგანიზებით, მოქალაქეებს — თეიმურაზ მეგრელიშვილს და ნოდარ მოდებაძეს იძულებით დაათმობინეს თელავში მდებარე „აკურას“ ღვინის ქარხანა. კერძოდ: 2004 წლის ივლისში, საქართველოს გენერალური პროკურორის ზურაბ ადეიშვილის და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ივანე მერაბიშვილის ხელმძღვანელობით, ქ. ბათუმში, იმდროინდელი აჭარის ა/რ უშიშროების სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში შედგა თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ სამართალდამცავი სტრუქტურის ხელმძღვანელი თანამდებობის პირები.

„თათბირზე, მერაბიშვილი და ადეიშვილი ისმენდნენ თუ როგორ მიმდინარეობდა სს „საქართველოს საზღვაო ბანკის“ ლიკვიდაციის პროცესი, მათ მიაჩნდათ, რომ სსენებული ბანკი და ამ ბანკის აქციონერები აჭარის წინამორბედი ხელისუფლების მაღალჩინოსნებთან იყვნენ დაკავშირებულნი, რის გამოც აუცილებელი იყო ბანკის მიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გაცემული კრედიტები მოკლე ვადიან პერიოდში უკან დაბრუნებულიყო, რათა სწრაფად მომხდარიყო ბანკის ლიკვიდაცია, ეს თანხები გადარიცხულიყო მერაბიშვილისა და ადეიშვილის მიერ დასახელებულ ანგარიშებზე და მათზე წვდომა არ ჰქონოდათ ბანკის აქციონერებს. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მსესხებელი ვერ შეძლებდა კრედიტის უკან დაბრუნებას, მაშინ მათგან უნდა მოეთხოვათ სახელმწიფოს სასარგებლოდ იმ უძრავ/მოძრავი ქონების დათმობა, რომლის შესაძენადაც გახარჯული ჰქონდათ ბანკიდან აღებული სესხი.

ამ დანაშაულებრივი გეგმის თანახმად, 2004 წლის ზაფხულში, აჭარის ა/რ პროკურორს გივი პაპუაშვილს უშიშროების სამსახურიდან და ეროვნული ბანკიდან მიაწოდეს ცნობები და სია დასაბარებელი კრედიტორების და ჩამოსართმევი ქონებების თაობაზე, რომელთა შორის იყო თელავში მდებარე „აკურასს“ ღვინის ქარხანაც.

გივი პაპუაშვილმა, აჭარის ა/რ პროკურატურაში დაიბარა „აკურას“ ღვინის ქარხნის მეპატრონეები, შპს „რთველი XXI“-ს დამფუძნებლები თეიმურაზ მეგრელიშვილი, ნოდარ მოდებაძე და დირექტორი ვახტანგ ჩახვაძე, რომელთაც სს „საქართველოს საზღვაო ბანკი“-დან აღებული ჰქონდათ 2 600 000 ლარამდე ოდენობის სესხი, რითაც შეიძინეს „აკურას“ ღვინის ქარხნის აქციების 89.060%, განახორციელეს ღვინის ქარხანაში ინვესტიცია, გააშენეს ვაზი და ახდენდნენ ყურძნის წარმოებას, გადამუშავებას, ღვინის დამზადებასა და რეალიზაციას.

აჭარის ა/რ პროკურორმა გივი პაპუაშვილმა მათ გადასცა ივანე მერაბიშვილისა და ზურაბ ადეიშვილის კატეგორიული მოთხოვნა, რომ 2 თვეში დაეფარათ სს „საქართველოს საზღვაო ბანკი“-დან აღებული კრედიტი, ხოლო თუ ამას ვერ შეძლებდნენ, მაშინ უსასყიდლოდ დაეთმოთ აკურასს ღვინის ქარხანა, წინააღმდეგ შემთვევაში მათ შეექმნებოდათ პრობლემები.

აღნიშნულზე, ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ მყოფმა თეიმურაზ მეგრელიშვილმა და ნოდარ მოდებაძემ სამართალდამცავებისგან მოსალოდნელი გართულებების თავიდან აცილების მიზნით, გადაწყვიტეს, დაეთმოთ ღვინის ქარხანა და ამის შესახებ გივი პაპუაშვილს აცნობეს. ქონების ჩამორთმევის პროცესის დაჩქარების მიზნით, სამართალდამცავების ორგანიზებით, შუაღამით, სახლიდან საგანგებოდ გამოიყვანეს ნოტარიუსი და 2004 წლის 07 სექტემბერს ნოტარიული წესით გააფორმეს ჩუქების ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც თეიმურაზ მეგრელიშვილმა და ნოდარ მოდებაძემ თელავში მდებარე „აკურასს“ ღვინის ქარხანა აჩუქეს სახელმწიფოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ივანე მერაბიშვილს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისთვის განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით შეუმცირდა და განესაზღვრა 2 წლით და 3 თვით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ზურაბ ადეიშვილს საქართველოს სსკ-ის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა და „ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის გამოყენებით საბოლოოდ განესაზღვრა 1 წლით და 6 თვის ვადით თავისუფლების აღკვეთა. ორივე მათგანს დამატებითი სასჯელის სახით დაეკისრა თანამდებობის დაკავების უფლების ჩამორთმევა 1 წლის და 6 თვის ვადით.

რამდენადაც საზოგადოებისთვის ცნობილია, მთავარი პროკურატურის ახალი დეპარტამენტის მიერ გახსნილი ამ დანაშაულებრივი ფაქტის შედეგად, აღდგენილი იქნა დაზარალებულთა დარღვეული უფლებები“, — წერია პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ირაკლი ხოფერია სასამართლომ დაზარალებულად ცნო

ირაკლი ხოფერია, რომელსაც პროკურატურა დაზარალებულად ცნობაზე უარს ეუბნებოდა, თბილისის საქალაქო სასამართლომ დაზარალებულად მიიჩნია და ჩათვალა, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი, რომ პროკურორმა გამოიტანოს დადგენილება ირაკლი ხოფერიას დაზარალებულად ცნობის თაობაზე.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ინფორმაციით, ირაკლი ხოფერიას, სავარაუდოდ, პოლიციელთა მხრიდან განხორციელებული წამების ფაქტზე გამოძიება 2017 წლის მარტიდან მიმდინარეობს. მათივე ინფორმაციით, ასოციაციამ, რომელიც ირაკლი ხოფერიას ინტერესებს იცავს, ირაკლი ხოფერიას დაზარალებულად ცნობის მოთხოვნით განცხადებით თავდაპირველად სისხლის სამართლის საქმის ზედამხედველ პროკურორს მიმართა, რომელმაც მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. აღნიშნულ საკითხზე წარდგენილი საჩივარი არ დააკმაყოფილა არც ზემდგომმა პროკურორმა. პროკურატურის განმარტებით, გამოძიების მიმდინარე ეტაპზე არ არსებობდა ირაკლი ხოფერიას დაზარალებულად ცნობის საფუძველი.

„პროკურატურის მიერ მიღებული უარის შემდგომ, საია-მ 2017 წლის 21 აპრილს სასამართლოს მიმართა და მოითხოვა ირაკლი ხოფერიას დაზარალებულად ცნობა. სასამართლომ სრულად გაიზიარა საჩივარში მოყვანილი არგუმენტები, და მოთხოვნა დაკმაყოფილა.

საქალაქო სასამართლოს მიერ მიღებული განჩინება არ საჩივრდება“, — წერია საია-ს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ხსოვნა

ახლა ზუგდიდს მისი წასვლა სტკივა...

ზურაბ ცხონდიას მოსაგონარი



გარდაიცვალა ცნობილი საზოგადო მოღვაწე, ჟურნალისტი, პუბლიცისტი, ორატორული ხელოვნების ოსტატი, მშობლიური ქალაქის კოლორიტად ქცეული პიროვნება ზურაბ ცხონდია. მან ღირსეულად გავლილი გზით, პროფესიონალიზმით, არაერთი პუბლიცისტური ნაშრომით შეძლო საკუთარი ქალაქი კულტურის, ისტორიის, წარსულის მოგონებების „ძვირფას მედალიონად“ აკინძვა. სწორედ ასე უწოდა მან ერთ-ერთ ბოლო წიგნს, სადაც საყვარელი ქალაქის ცნობილ ადამიანებს, მათ ხსოვნას და ღირშესანიშნავ დღეებს მოუყარა თავი... თაობებს ისტორია შემოუნახა... სიცოცხლის ბოლო წუთამდე აქტიური, საინტერესო ცხოვრებით იცხოვრა... ტკივილ და სევდადატეული ცხოვრებითაც...

ბოლო წლები ბატონი ზურაბი წარმატებით უძღვებოდა ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სალიტერატურო ნაწილს. მკითხველთა ფართო წრისთვის ქმნიდა თეატრის ისტორიას. მანამდე კი ჟურნალისტიკისა და პუბლიცისტიკის ურთულეს სფეროში წარმატების, აღიარების, საყოველთაო სიყვარულის წლები იყო.

თავმდაბალი, ადამიანებისადმი განუსაზღვრელი სიყვარულით აღსავსე, დახვეწილი პიროვნება ბევრისთვის მისაბაძი, საპირწონე გახლდათ.

წლების წინათ მისი ვაჟი ასტკივდა ქალაქს... „წუხელ ვაჟი მესიზმრა... მივუყვები აღმართს სასაფლაოსკენ... საფლავის ქვას ვკოცნი... ახლა, ჩემს დღეში მყოფ, ტკივილთან მორკინალ მამებზე ვფიქრობ... თითქოს ორი სამყაროს გზაგასაყარზე ვდგავართ სანთლებით ხელში... რათა ვიწამოთ... სასწაული — „მომენატრება სიკვდილი, წავალ. მომენატრება სიცოცხლე, მოვალ“...

ახლა ზუგდიდს მისი წასვლა სტკივა...

ზურაბ ცხონდია საკუთარი ქალაქის, ზუგდიდის ისტორიის ნაწილად იქცა — იცხოვრა საინტერესოდ და ვალმოხდილი შეუერთდა მარადისობას...

თქვენი საყვარელი ქალაქი ქედს გიხრით და გემშვიდობებათ... მარადიული ხსოვნა თქვენს სახელს, მაესტრო!

თვითმმართველი ქალაქ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია

ნუცუბიძის ქუჩაზე ახალგაზრდა გოგონას ცხედარი იპოვეს

თბილისში, ნუცუბიძის ქუჩაზე ახალგაზრდა გოგონას ცხედარი იპოვეს. ცხედარი ერთ-ერთ საცხოვრებელ კორპუსთან აღმოაჩინეს.

არსებული ინფორმაციით, გოგონას დაღუპვის მიზეზი მაღალი სართულიდან ვარდნაა.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ ყალბი ფულის გასაღების ფაქტზე ორი პირი დააკავა.

გამოძიებით დადგენილია, რომ საქართველოს ორმა მოქალაქემ ფიზიკურ პირზე მოტყუებით გასაღა 12 ერთეული ყალბი 100-ლარიანი კუპიურა.

საგამოძიებო სამსახურმა ყალბი ფული ნივთიერმტკიცებულების სახით ამოიღო.

საქართველოში 4.7 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა

სეისმური მონიტორინგის ცენტრის ინფორმაციით, მიწისძვრა, რომლის სიმძლავრეც 4.7 მაგნიტუდა იყო, დღის 12 საათზე მოხდა.

მათივე ცნობით, ეპიცენტრი ლაგოდეხთან იყო.

მიწისქვეშა ბიძგები თბილისშიც იგრძნობოდა.

ვაჟა-ფშაველას გამზირზე ოვალური თარგის სამუშაოები დასრულდა

დედაქალაქის ეიერსახისა და ეკოლოგიური გარემოს გაუმჯობესების მიზნით, ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურმა ვაჟა-ფშაველას გამზირზე ოვალური თარგის გამწვანების სამუშაოები დაასრულა.

დასრულებული სამუშაოები თბილისის მერმა დავით ნარმანიამ მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილთან და ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროს გოგა წერეთელთან ერთად დაათვალიერა.

„ჩვენ მეორე ეტაპის სამუშაოებსაც გავაგრძელებთ. ვაჟა-ფშაველას ძეგლიდან მშენებარე მეტროსადგურამდე, ეს ტერიტორია მთლიანად კეთილმოეწყობა, უკეთ გამწვანდება და ქალაქში კიდევ ერთი ძალიან საინტერესო სივრცე შეგვემატება“, – განაცხადა თბილისის მერმა დავით ნარმანიამ.

სამუშაოების ფარგლებში ტერიტორიაზე გამოიცვალა მიწის ზედაპირი, აღდგენილია სარწყავი სისტემა, ასევე, დაიდგა დეკორატიული სანათები, დაირგო იშვიათი ჯიშის ხე-მცენარეები – 15 ძირი მრავალწლოვანი ზეთისხილი, ლეილანდები, არიზონას კვიპაროსები, ჯუჯა ფოტინიები, ვარდები, სეზონური ყვავილები, დაირგო რულონური ბალახი.

დუბაიში გასაყიდად ოქროს ფეხსაცმელი გამოიტანეს

კაშკაშა ფეხსაცმელები, რომელიც იტალიელი დიზაინერის ანტონიო ბიეტრის კოლექციიდანაა, დუბაიში მიმდინარე Leatherworld Middle East 2017-ზე წარმოადგინეს. ფეხსაცმელი ხელნაკეთია და ის ოქროს ძაფებითაა შეკერილი, ხოლო ქუსლები ბრილიანტის თვლებითაა მორთული. ფეხსაცმლის ღირებულება კი 33 ათასი დოლარიდან 82 ათას დოლარამდეა.

სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია, კლიენტს ფეხსაცმელი Swarovski-ს თვლებითაც მოურთონ.

ბრიუს ჰემფთონი სცენაზე გარდაიცვალა

ცბობილი გიტარისტი და ჯგუფ ჰემფთონ გრის ბენდის დამაარსებელი ბრიუს ჰემფთონი 70 წლის ასაკში გარდაიცვალა. საიუბილეო კონცერტზე მუსიკოსმა გულის შეტევა მიიღო. ექიმებმა მისი გადარჩენა ვეღარ შეძლეს. ჰემფთონის მუსიკალური კარიერა ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის. ჯგუფი მან 1960 წელს დააარსა.

პრინცი უილიამი ფრანგულ ტაბლოიდებს უჩივის

ბრიტანეთის სამეფო ოჯახი ორო ფრანგული ტაბლოიდისგან კომპენსაციის სახით 1,5 მილიონ ევროს ითხოვს. საქმე „კლოზერისა“ და „პროვენსის“ მიერ 2012 წელს გამოქვეყნებულ ფოტოებს ეხება, რომლებზეც პრინც უილიამსის მეუღლე ქეითი ნახევრად შიშველია აღბეჭდილი. ფოტოები პაპარაცებმა პრინცი უილიამისა და მისი მეუღლის ფრანგული არდადეგების დროს გადაიღეს.

მსოფლიოს უხუცესი კაცი გარდაიცვალა

ინდონეზიაში, კუნძულ იავაზე მსოფლიოს უხუცესი კაცი გარდაიცვალა. თუ მის დოკუმენტებს დავუჯერებთ, იგი 1870 წლის დეკემბერში დიბადა.

მიუხედავად იმისა, რომ ინდონეზიაში დაბადების მოწმობების გაცემა 1900 წლიდან დაიწყო, ქვეყნის ხელისუფლება ირწმუნება, რომ „ბაბუა გხოტო“ ნამდვილად დედამიწის უხუცესი ადამიანი იყო და მისი დაბადების თარიღიც ეჭვს არ იწვევს.

ინდონეზიელი საკუთარ დღეგრძელობას მშვიდ და წყნარ ხასიათს უკავშირებდა. მან სიცოცხლეში 4 მეუღლე, აგრეთვე 10 დედმამიშვილი და შვილები მიაბარა მიწას.

მწეველი ბებია შვილიშვილს უქმნის საფრთხეს

ბრისტოლის უნივერსიტეტის მეცნიერებმა 14500 მწეველი ქალი გამოიკვლიეს დ მათი შედეგები საკმაოდ შემაშფოთებელი აღმოჩნდა. როგორც გაირკვა, მწეველი ქალების შვილიშვილების 53 პროცენტს ემუქრებათ აუტიზმის განვითარება.

მკვლევარებმა ჯერ ვერ დაადგინეს ზუსტი კავშირი თამბაქოსა და ავადმყოფობას შორის, თუმცა ვარაუდობენ, რომ საქმე გვაქვს მუტაციასთან, რომელიც შთამომავლობით გადმოგვეცემა.

ცნობილია, რომ მოწევა აზიანებს მიტოქონდრიულ დნმ-ს, რომელიც დედის ხაზით გადმოგვეცემა. დედიდან შვილზე ეს მუტაცია პირდაპირ არ გადადის, მაგრამ უკვე შემდგომ თაობას დიდ საფრთხეს უქმნის.

დიეტური პროდუქტი ჭარბწონიანობას უწყობს ხელს

ჯორჯიის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დიეტურ პროდუქტებზე ჩაატარეს კვლევა და დაამტკიცეს, რომ მსგავსი პროდუქტები წონის დაკლებაში კი არ გვეხმარებიან, არამედ ხელს უწყობენ ორგანიზმსს ცხიმების დაგროვებაში.

ექსპერიმენტი ჩატარდა ვირთხებზე. მათ ნაწილს კვებავდნენ კალორიული საკვებით, ხოლო მეორე ნაწილს ნაკლები ცხიმის შემცველი პროდუქტებით. გაირკვა, რომ ორივე ჯგუფის ვირთხები იმატებდნენ წონაში, მაგრამ დიეტური ჯგუფის მღრღნელებს ცხიმის რაოდენობა უფრო მეტად გაეზარდათ.

ასეთი სახის დიეტა, აგრეთვე უარყოფითად მოქმედებს თავის ტვინზეც.

შვილების გაჩენამდე ჯორჯ კლუნმა უკვე 1,3 მილიონი დახარჯა

ჰოლივუდის ვარსკვლავმა პატარა ტყუპების ამ ქვეყნად მოვლენამდე უკვე 1,3 მილიონი დოლარი დახარჯა.

კლუნმა გადაიხადა თანხა ელიტარული კლინიკის დასაჯავშნად, სადაც მისი მეუღლე იმშობიარებს. წყვილის განკარგულებაში იქნება კლინიკის მთელი ფლიგელი. კლუნმა აგრეთვე ის ექთნები დაიქირავა, რომლებიც ბრიტანეთის სამეფო ოჯახში მუშაობენ. ამის გარდა პროფესიონალი მასაჟისტი ლონდონში იტალიიდან ჩამოფრინდება.

მსახიობი ძალიან ღელავს მეუღლესა და შვილებზე, რომელთა ჯანმრთელობაც მისთვის შეუფასებელია.

მოამზადა
რუსუდან ქოგულიამ

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4416; ევრო - 2.6650;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1553;
100 რუბლი - 4.2820; თურქული ლირა - 0.6902;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4501;
1000 სომხური დრამი - 5.0394.

ამინდი 4 მაისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+8	დღე	+26
მთიანი რაიონები -	ღამე	+7,	დღე	+22
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+10,	დღე	+21
მთიანი რაიონები -	ღამე	+9,	დღე	+20
თბილისი:	ღამე	+12,	დღე	+25

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge